ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 10 ივლისი, 2018 | №161 (7706) | ფასი: 60 თეთრი

„ეჭვი მეპარება, გახარია მაჩალიკაშვილს კონსპირაციულ ბინაში შეხვედროდა“

გვ.5

რა საფრთხეებს ხედავს ვახტანგ მაისაია

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8



ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„მალხაზ კობაურმა რაიან სმიტი და მისი 4 წლის შვილი თოფით მოკლა, ლორა სმიტი ხევში გადავარდა და ისე დაილუპა“

გვ.7

იორამ კობაური: „კუნძზე თავს დავდებ, რომ ჩემი შვილი მაგის გამკეთებელი არ არის“

ადვოკატი: „მალხაზ კობაურს სახე დაზიანებული აქვს. ის ბრალს არ აღიარებს“

გვ.2

„ტურისტის რანგში შემოსულმა ტერორისტმა შესაძლოა სასმელი წყალი მოგვინამლოს“

ზაალ კასრელიშვილი: „ხადას ხეობაში მომხდარი შემზარავი მკვლელობა საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე ცუდად იმოქმედებს“

სხვისი თეფშიდან ჭამა ზვიად კუპრავას 5.000 ლარი დაუჯდა

გვ.4

„თეა წულუკიანმა სტრასბურში რუსები შეარცხვინა და რატომ ებრძვის მას ოპოზიცია?!“

გვ.3

გვ.4

შალვა შავგულიძე: „მთავარ პროკურორად ხელისუფლება მისთვის მისაღებ კანდიდატს დანიშნავს“

სამართალი

გვ.7

თბილისის აეროპორტში რუსმა ბიკოვმა ქიმიური იარაღი ივრიტი შეიტანა

ანა ნაცვლიშვილის მამა: „ჩემი შვილის მკვლელი ციხეში უნდა ჩალპეს“

ეკონომიკა

გვ.6

დაბა სიონის ტურისტული განვითარება შეჩერდა?!

FAO: სურსათის ფასები 2018 წელს პირველად შემცირდა

რაჭაში ტყეს ბიძინა ივანიშვილის კომპანიები ჭრიან, სვანეთში ინვესტორი და მოსახლეობა

ISSN 1987-9385

5 თამაზ მეჭიაური: „საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ საქმე სისტემურ კორუფციასთან გვაქვს“

4 „ქართულ ღვინოს ხარისხის პრობლემა ნამდვილად აქვს“

3 ორფოლოში წვრთნაზე 31 წლის ჯარისკაცი მირზა ჩაჩუა გარდაიცვალა

5 გიორგი ჩერქეზიშვილი: „საგადასახადო რეჟიმი, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს მცირე და საშუალო მეწარმეებს, უპრეცედენტოა“

„ტურისტის რანგში შემოსულმა ტერორისტმა შესაძლოა სასმელი წყალი მოგვინამლოს“

ზაალ კასრელიშვილი: „ხადას ხეობაში მომხდარი შემზარავი მკვლელობა საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე ცუდად იმოქმედებს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ უნდა მიაქციონ სპეცსამსახურებმა რუს ტურისტებს მეტი ყურადღება, რა ტაქტიკას მიმართა რუსეთმა, რა გავლენას იქონიებს ხადას ხეობაში მომხდარი დანაშაული საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

ზაალ კასრელიშვილი:

– ხადას ხეობაში საშინელება მოხდა. ეს შემზარავი მკვლელობა საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე ძალიან ცუდად იმოქმედებს. ჩვენი მოწინააღმდეგეები ამ ფაქტს აუცილებლად გამოიყენებენ. რუსული პრესა ბოლო ხმაზე იყვირებს და მთელ მსოფლიოს მოსდებს, რომ საქართველოში ამერიკელები დახოცეს.

რუსეთი ისედაც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს რეპუტაცია შელახოს. ცოტა ხნის წინ მათმა ხელისუფლებამ თავის მოქალაქეებს მოუწოდა, საქართველოში ჩასვლისგან თავი შეიკავეთო.

– ეტყობა, ეს მოწოდება დამაჯერებელი არ იყო, აქაურობა სავსეა მათი მოქალაქეებით. ქვა რომ ააგდო, რუს ტურისტს მოხვდება.

– სავსეა საქართველო რუსი ტურისტებით. მინდა თქვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ რუსეთიდან მხოლოდ ტურისტები არ შემოდიან. ტურისტის რანგში რუსული სპეცსამსახურების თანამშრომლები არიან შემოსული. ისინი მრავალი მიმართულებით მუშაობენ.

ხადას ხეობის ტრაგედიას დავუბრუნდები და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს არის ძალიან ცუდი ფაქტი და ის საქართველოს იმიჯზე უარყოფითად აისახება. საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე ასევე უარყოფითად აისახება ის ფაქტიც, რომ აქ უცხოელი ტურისტები ხშირად იღუპებიან უბედური შემთხვევების შედეგად.

– უბედური შემთხვევების შედეგად სხვა ქვეყნებშიც იღუპებიან ტურისტები.

– გასაგებია, მაგრამ თუ გვინდა, რომ ტურისტები ჩამოდიოდნენ, რაღაცნაირად მათი უსაფრთხოება უნდა დავიცვათ. არ შეიძლება, მთაში უცხოელი გამყოლის გარეშე მიდიოდეს.

– გამყოლებს თავად არ ქირაობენ და ხელისუფლება ხომ არ აიძულებს, იქირავეთო?

– იძულებით რატომ უნდა აიძულოს. ტურისტებმაც კარგად იციან, რომ გამყოლის გარეშე მთაში წასვლა არ შეიძლება, ისინი ამ სერვისზე მხოლოდ იმიტომ ამბობენ უარს, რომ მომსახურება ძალიან ძვირია. ჩვენთან ხომ იცით, როგორაა, უცხოელს როცა ხედავენ, ყველაფერზე ფასს უწევენ. ამიტომაც არის, რომ ტურისტების დიდი ნაწილი გამყოლის გარეშე მიდის მთაში, რაც ხშირად ფატალურად მთავრდება.

ხელისუფლებამ რაღაც პროგრამა უნდა შეიმუშაოს და თავად იქირაოს გიდები უცხოელი ტურისტებისთვის. ამით ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლეს გადავარჩენთ და ჩვენი მტრები აღარ იტყვიან, საქართველოში უცხოელი ტურისტები იღუპებიანო.

– ზემოთ თქვენ თქვით, რომ აქ რუსი ტურისტების სახით სპეცსამსახურების თანამშრომლები შემოდიან და მრავალი მიმართულებით მუშაობენ. რა მიმართულებებზეა საუბარი?

– მიმართულება მართლაც მრავალია. აქტიურად მიდის ქართველების გადაბირება. პირადად მე შევესწარი ასეთ ფაქტს. ვნახე თბილისში, ერთ-ერთ რესტორანში ე.წ. რუსი ტურისტი როგორ ცდილობდა ქართველი მოქეიფე ბიჭების გადმობირებას.

ე.წ. ტურისტმა ქართველი მოქეიფე ბიჭები თავის სუფრაზე დაპატიჟა. საერთო სუფრაზე პირველი სადღეგრძელო მართლმადიდებლობისა თქვა. მერე ჩვენი ძმობა და მეგობრობა ადღეგრძელა. დაამატა, ევროპასა და ამერიკაში თურმე რამდენი პიდარასტი და გარყვნილია.

– პიდარასტები რუსეთში არ არიან ვითომ?

– რუსეთში რომ არიან, მაგდენი მთელი ევროპის მასშტაბით არ არის. მსუბუქი ყოფაქცევის ქალს რომ კერავს ხოლმე კაცი, ისე კერავდა რუს ტურისტად მოვლენილი აგენტი მოქეიფე ქართველებს – შთააგონებდა, საქართველოს რუსეთის გარეშე არ შეუძლიაო.

ასეთივე ფაქტს შეესწრო ჩემი ახლობელი ქალაქგარეთ. იმ სუფრაზეც რუსმა „ტურისტმა“ ასე დაასრულა სუფრა – საქართველოს თუ რამე გაუჭირდა, ჩვენ აქა ვართ.

უკვე გასაგებია, თუ რა თემაზე საუბრობენ მოსკოვიდან გამოგზავნილი „ნაროდნიკები“. ამ „ნაროდნიკებს“ დავალებული აქვთ, ხალხში გაავრცელონ აზრი, რომ საქართველოს რუსეთის გარეშე მომავალი არა აქვს.

– ამას ალბათ ბევრი იჯერებს.

– ბევრი იჯერებს. მოგეხსენებათ ჩვენთან ძალიან ბევრი წერა-კითხვის უცოდინარია. მათ ალბათ ისიც არ იციან, რა მოხდა 1921 წელს.

– 1921 წელს რა მოხდა, შეიძლება არ იციან, მაგრამ 2008 წლის აგვისტო ხომ ახსოვთ? მაშინ რუსეთი სიყვარულის ასახსნელად შემოიჭრა აქ?

– 2008 წელი ახსოვთ, მაგრამ თავისებურად. ამტკიცებენ, მაშინ რუსეთს ომი არ უნდოდაო.

– მძინარე ცხინვალს დავესხით თავს და საცოდავი რუსეთი ჩვენ ჩავითრიეთ ომში, ხომ?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ჩავითრიეთ საწყალი რუსეთი ომში. დაიმახსოვრეთ ერთი რამე – ყოფიერება ამუშავებს ცნობიერებას.

ხშირად მომისმენია, რომ არაფერი დაშავდება თუ საქართველოში ბევრი რუსი ტურისტი შემოვა. კარგი, ამ ტურისტს ფული შემოაქვს, მაგრამ ვიცით რა ინფორმაცია გააქვთ აქედან? რამდენადაც მე ვიცი, ისინი არსად არ ამბობენ, რომ საქართველოში დასვენებისთვის კარგი პირობებია. არ ამბობენ იმას, რომ საქართველოს მოსახლეობა მათ თბილად ღებულობს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ოკუპანტ ქვეყანას წარმოადგენენ.

– რუს ტურისტებს როცა ვხედავთ, რუსული ოკუპაცია გვავიწყდება, სამაგიეროდ, ისტერიკაში ვვარდებით, თურქებს და არაბებს რომ ვხედავთ და საუკუნეების წინანდელი ლაშქრობები გვახსენდება.

– ესეც პროპაგანდის დამსახურებაა. იმისთვის, რომ რუსული ოკუპაცია გადაიფაროს, აპელირება კეთდება თურქებზე, ირანელებსა და არაბებზე. ჩვენი მოსახლეობისაც მესმის, ბევრს არ მოსწონს ის, რაც თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე ხდება. არ არის მოსაწონი, მაცი ხვიტიასავით თავწაკრული ამდენი ქალი რომ დადის ქუჩაში. რუსები ამას კარგად ხვდებიან და ამაზე აპელირებენ. ამიტომაც იზრდება უკმაყოფილება თურქების, არაბების, ირანელების მიმართ.

– ბათუმის ბულვარში რუსული დროშის ფრიალი რატომ ანიჭებთ კმაყოფილებას, მართლმადიდებლური სიო უბერავს ამ დროშიდან?

– ოკუპანტი ქვეყნის დროშას რომ აგიფრიალებენ, ეს ძალიან დიდი შეურაცხყოფაა. რუსები თავიანთ დროშებს ძირითადად აჭარის რეგიონში აფრიალებენ. აქ აუცილებლად დაიწყება ანტითურქული აქტივობები. მოსკოვი შეეცდება, აჭარის რეგიონში მაქსიმალურად დაძაბოს სიტუაცია.

ხელისუფლება რაც უფრო დროულად მიხედავს ამ „ტურისტებს“, მით უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

– თქვენი აზრით, ხელისუფლებამ რა უნდა დაუპირისპიროს „ტურისტების“ შლიგინს?

– გველის შხამის წამალი მზადდება გველის შხამისგან, მას ანტიდოტი ჰქვია. იგივე მეთოდები უნდა გამოვიყენოთ, რომლებსაც მოწინააღმდეგე იყენებს.

– ჩვენც ტურისტები უნდა შევუსიოთ რუსეთს?

– არა. ტურისტებს უნდა გავაყოლოთ კარგად მომზადებული და კვალიფიციური გიდები.

– გიდებადაც რუსები მუშაობენ.

– ამ რუს გიდებზე მინდა გითხრათ, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი უფრო კარგად ლაპარაკობენ საქართველოზე, ვიდრე ქართველი, ე.წ. კაი ტიპები. გადაეყრებიან რუსებს და იწყებენ: რუსეთთან უნდა ვიყოთ, აბა რა. მერე მისტირიან იმ დროს, როცა 37 მანეთად დაფრინავდნენ მოსკოვში.

ამაზე ძირითადად ისეთი ხალხი აპელირებს, ვინც არასდროს გაფრენილა მოსკოვში და არც იქაურ ქალებში გულაობის შნო ჰქონიათ.

– მოსკოვში თუ არც ყოფილან და არც უგულავიათ, აბა რატომ ეპირფერებიან ამ რუსებს? რა ჯანდაბას მისტირიან იმ ქვეყანაში?

– რას ეძებენ და სარგებელს. ცდილობენ, ვიღაცას მიეწებონ და ამით სარგებელი იშოვონ. საერთოდ ასეა, ღირსეული ადამიანი სიმართლეს ეძებს, უღირსი – სარგებელს.

– საქართველოში სარგებლის პოვნა უფრო იოლია.

– რას ვიზამთ, უღირსებს უფრო უმართლებს და ამიტომაც არის დღეს საქართველო ამ დღეში.

– საქართველოში შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო არის ტურიზმი. ზემოთ თქვით, რომ ხადას ხეობაში მომხდარი მკვლელობა საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე ძალიან ცუდად აისახება. ამას ალბათ ტურისტების რაოდენობის შემცირებაც მოჰყვება.

– რა თქმა უნდა, შემცირდება. ჩვენს ქვეყანას ისედაც ეჭვის თვალით უყურებდნენ – გარშემო თითქმის ყველგან საომარი მოქმედებებია. ამას დაუმატეთ რუსების პროვოკაციები და „ნაროდნიკობა“ და ის მამაძაღლობები, რასაც ქართველები აკეთებენ.

იმისათვის, რომ ვიღაცამ არ „ინაროდნიკოს“ და ტურისტების უსაფრთხოება დაცული იყოს, უცხოელები სპეცსამსახურების თანამშრომლებმა უნდა გააცილონ. კარგი იქნება, თუ ამ ფუნქციას შინაგან საქმეთა სამინისტრო აიღებს თავის თავზე.

ამით ძალიან ბევრ უბედურებას ავიცილებთ თავიდან.

ჩვენ ვართ ფაქტიურად საომარ მდგომარეობაში და ტურისტები ყველგან თავისუფლად ვერ უნდა გადაადგილდებოდნენ. არის გარანტია, რომ ოკუპანტები უცხოელ ტურისტს არ გაიტაცებენ?! უცხოელმა სულ არ იცის, სად გადის საოკუპაციო ზოლი.

საგანგებოდ მომზადებული გამყოლები იმასაც გააკონტროლებენ, რომ ე.წ. ტურისტები სტრატეგიულ და საიდუმლო ობიექტებთან ახლოს არ მივიდნენ. დამიჯერეთ, საქართველოდან „ტურისტებს“ ძალიან ბევრი საიდუმლო ინფორმაცია გააქვთ.

ცოტა ხნის წინ ჩემმა მეგობრებმა დამირეკეს და მითხრეს, ერთ-ერთ კაფეში მივსულიყავი. ამ კაფეში 3 რუსი ქალბატონი მჯდარა. ისინი ბევრ რამეზე საუბრობდნენ და მათ შორის ჩემი სახელიც ახსენეს თურმე.

– ეს ქალები თქვენ საიდან გიცნობდნენ?

– მე საქართველოში არ მაფასებენ, თორემ ქვეყნის გარეთ ბევრმა იცის ჩემი სახელი. მივედი ამ კაფეში და ქალბატონებსაც გავესაუბრე. ძალიან სიმპათიური და განათლებული ქალები იყვნენ.

საუბრისას მითხრეს, რომ გეოდეზიის ინსტიტუტში მუშაობდნენ. გავარკვიე ისიც, რომ საქართველოში ინგუშეთიდან ფეხით გადმოვიდნენ. მათ ბევრი ისეთი დეტალი იცოდნენ, რაც ჩვეულებრივმა ტურისტმა არ უნდა იცოდეს.

– მაგალითად, რა იცოდნენ?

– ისიც კი იცოდნენ, როგორი გრუნტია ამა თუ იმ მონაკვეთზე. მაგალითისთვის მითხრეს, თუშეთის მიმართულებით ესტაკადის აშენება სისულელეა, შლადია მთა და გზა თავს ვერ შეიკავებსო. კიდევ ძალიან ბევრი საინტერესო რამე თქვეს.

– თქვენი აზრით, ეს ქალები აგენტები იყვნენ და დასაზვერად იყვნენ აქ შემოსული?

– მათ იმაზე ბევრად მეტი იცოდნენ, ვიდრე ტურისტებმა იციან. შესაძლოა, მათ ეს ცოდნა პროფესიიდან გამომდინარე ჰქონდათ. ისეთ დროში და ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებ. განსაკუთრებით დამაეჭვა იმან, რომ ინგუშეთიდან ქალები ფეხით გადმოვიდნენ.

– ეჭვი გაქვთ, რომ მათ გადმოსასვლელი ბილიკები დაადგინეს?

– ამის დასადგენად რუსეთი არავის გამოაგზავნიდა. არ დაგავიწყდეთ, საქართველო საბჭოთა კავშირში შედიოდა. საბჭოთა კაგებემ კი ყველა საცალფეხო ბილიკის შესახებ იცოდა. ეს ინფორმაცია რუსებს დარჩა.

რუსი ტურისტები, რომლებიც საფეხმავლო ტურებით სარგებლობენ, ალბათ ამ გადმოსასვლელების მდგომარეობას ამოწმებენ. ადგენენ, რამდენად გამაგრებული აქვს საქართველოს ეს ბილიკები. სხვა ყველაფერი რუსებმა ისედაც იციან.

აქედან დამატებითი ინფორმაციის გაჟონვა რომ არ მოხდეს, სტრატეგიულ, საზღვრისპირა და კონფლიქტისპირა რეგიონებში ტურისტები გამყოლების გარეშე არ უნდა გავუშვათ. ამით მათ უსაფრთხოებასაც დავიცავთ და ქვეყანასაც.

ერთი მითხარით, დაცულები ვართ იმისგან, რომ ვინმე „ტურისტი“ ტერორისტულ აქტს არ მოგვიწყობს? ტურისტის რანგში შემოსულმა ტერორისტმა, შესაძლოა, სასმელი წყალი მოგვიწამლოს. ამის გაკეთება ნებისმიერს შეუძლია. წყლის სათავე ნაგებობაში ჩაგდებს ერთ პატარა ფლაკონს და მორჩა.

– მავნე ნივთიერების დაღვრისთვის ერთი ადამიანი უკვე დაიჭირეს თბილისის აეროპორტში.

– ეს ადამიანი რუსეთის მოქალაქე იყო. გაგვიმართლა, მავნე ნივთიერებები სასმელ წყალში რომ არ ჩაგვიყარა. მსგავსი რამე რომ არ მოხდეს, განსაკუთრებული სიფრთხილიხ გამოჩენაა საჭირო.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„თეა წულუკიანმა სტრასბურში რუსები შეარცხვინა და რატომ ებრძვის მას ოპოზიცია?!“

მამუკა არეშიძე: „კვირიკაშვილი თავის გუნდს შეეწირა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თეა წულუკიანი თანამდებობას შეინარჩუნებს. „ოცნების“ შიგნითაც ბევრი ეწინააღმდეგება მის დატოვებას. რატომ გახდა წულუკიანი ასე მიუღებელი როგორც ოპოზიციისთვის, ისე „ოცნების“ გუნდის ნაწილისთვის?

– აქ რამდენიმე კომპონენტი შეიძლება იყოს. ერთი არის ის, რომ თეა წულუკიანს აქვს საკმაოდ რთული ხასიათი. ოპოზიციისთვის ის არის ძლიერი ფიგურა და უკომპრომისო. ოპოზიციის ერთ-ერთი დანიშნულებაც ეგ არის, რომ შეასუსტოს ხელისუფლების პოზიციები და ძლიერი ფიგურა გამოაკლოს მის რიგებს.

ოპოზიციის წარმომადგენლები ზოგიერთ სხვა მინისტრზე, რომელთაც მუშაობა ჩააგდეს, ხმას არ იღებენ.

– რომელ მინისტრებს გულისხმობთ?

– არიან ასეთი მინისტრები. არ მინდა ახლა ჩამოვთვალო. სულ მცირე ორი მინისტრი შემიძლია დავასახელო, რომელთა მუშაობაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. შესაძლოა, ვიღაცას ჩემი აზრი არ მოეწონოს, მაგრამ ეს ასეა.

– ეს მინისტრები რჩებიან ახალ მინისტრთა კაბინეტში?

– ჯერჯერობით მათ შეცვლაზე ლაპარაკი

არაა. თუმცა ამ შემთხვევაში მე სხვა ჭრილში ვსაუბრობ მათზე. ამ შემთხვევაში მე ვლაპარაკობ ოპოზიციის მოთხოვნებზე. ოპოზიცია ითხოვს ცალსახად წულუკიანის მოშორებას, ხოლო იმ მინისტრების მოშორებას, რომელთაც მე ვგულისხმობ, არ ითხოვს.

– ანუ სუსტი მინისტრები მათთვის ხელსაყრელია?

– რა თქმა უნდა, ხელსაყრელია. სუსტი მინისტრი საქმეს არ აკეთებს, თავისი პასიურობით და არაპროფესიონალიზმით ბევრ რამეს აფუჭებს, მაგრამ იმაზე ხმას არ იღებენ და ეტაკნენ წულუკიანს, რომელიც საქმეს აკეთებს. რასაკვირველია, ვინც საქმეს აკეთებს, იმას შეცდომებიც მოსდის. ეს აქსიომაა. ბევრი რამ, რაც ამ სისტემაში ხდება, შეიძლება მეც არ მომწონდეს.

– კერძოდ, რა არ მოგწონთ?

– განსაკუთრებით სასამართლო სისტემაში არსებული ვითარება და თუნდაც პროკურატურაში, მაგრამ ეს არ არის მარტო წულუკიანის ბრალი, ეს არის იმ პოლიტიკის ბრალი, რომელსაც „ქართული ოცნება“ ზოგადად ატარებს. ვგულისხმობ პირველ რიგში კოჰაბიტაციას. სასამართლოსა და პროკურატურაში არსებული ზოგიერთი პერსონა აბსოლუტურად მიუღებელია საზოგადოებისთვის.

მოკლედ, წულუკიანს ოპოზიცია მისი სიძლიერის გამო ებრძვის.

– ხელისუფლების წარმომადგენლებზე რას იტყოდით, ისინი რატომ ებრძვიან, როგორც თქვენ უწოდებთ, წარმატებულ მინისტრს?

– რაც შეეხება სახელისუფლო გუნდს, აქაც იგივე სიტუაციაა, ოღონდ მათი დამოკიდებულება ხელისუფლების დასუსტებაზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ ებრძვიან მისი ხასიათის გამო. ისინი ვერ ახერხებენ მასთან საერთო ენის პოვნას თავისი შეხედულებების გატარებისათვის. ის, რომ ზოგი რამ სასამართლო სისტემასა და პროკურატურაში არის საზოგადოებისთვის მიუღებელი, მარტო წულუკიანის ბრალი ნამდვილად არ არის. აქ კომპლექსური პრობლემებია.

– ზოგადად მთავრობაში დაგეგმილ ცვლილებებზე რას იტყოდით?

– ზოგიერთ კანდიდატურას საერთოდ არ ვიცნობ, ამიტომ ვერ შევაფასებ. მაგალითად, ეკონომიკის მინისტრის პოსტზე ვინც უნდა იყოს, ან ფინანსთა მინისტრის პოსტზე, ეს ხალხი ჩემთვის სრულიად უცნობია.

უცხოეთიდან ჩამოყვანილმა სპეციალისტმა შეიძლება გაამართლოს, შეიძლება – ვერა. ადამიანები, რომლებიც დიდხანს სწავლობდნენ და მუშაობდნენ უცხოეთში, მოწყვეტილები არიან ქართულ გარემოს და არ არის გამორიცხული, რომ ალღო ვერ აუღონ. თუმცა, შესაძლოა, ალღოც აუღონ და ძალიან მოქნილებიც იყვნენ, ამ ეტაპზე ამის მტკიცება ძალიან რთულია.

ერთადერთი, რაზეც შემიძლია ვილაპარაკო, ეს არის მცირე მთავრობის კონცეფცია.

– რამდენად გაამართლებს?

– ერთ დარგში ნამდვილად არ გაამართლებს, ამას კატეგორიულად ვამბობ. ეს არის ზოგიერთი სამინისტროს გაერთიანება. შეიძლება, დევნილთა სამინისტროს კომპონენტებად დაყოფა და გადაცემა სხვადასხვა სისტემაში გამართლებული იყოს. განსაკუთრებით დევნილებისთვის ბინების მშენებლობის საკითხის გადაცემა ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის, ეს ნამდვილად სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ განათლების სამინისტროს და კულტურის სამინისტროს გაერთიანების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ! ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი.

– ეს კიდევ ვისი აზრია?

– ეს არის ჩვენი დასავლელი პარტნიორების აზრიც. ჩვენ ვხედავთ, რა მძიმე მდგომარეობაა განათლების სფეროშიც და კულტურის სფეროშიც. წარმოუდგენელია, მინისტრი, რომელიც არის ამ პროცესის მთავარი წარმმართველი და პოლიტიკის შემქმნელი, ყველა ამ საკითხში ჩახედული იყოს და ეს მოშლილი სისტემები ააწყოს. ეს შეუძლებელია!

ამათი გაერთიანება დღეს არის უდროო

და ჩემთვის მიუღებელი.

– ბევრი მიიჩნევს, რომ არც სასჯელაღსრულება და იუსტიცია უნდა გაერთიანდეს.

– არც ეს არის მისასალმებელი. პენიტენციალურ სისტემას თავისი ხელმძღვანელი უნდა ჰყავდეს და საკმაოდ მაღალი დონის. დეპარტამენტის თავმჯდომარე კი არა, არამედ მაღალი დონის ხელმძღვანელი, რომელსაც მაღალი დონის პასუხისმგებლობა ექნება.

– რადგან კახი შვილის გვარი მთავარი პროკურორობის მსურველებს შორის არ აღმოჩნდა, იყო დიდი მოლოდინი, რომ კახი შვილს იუსტიციის მინისტრად ვიხილავდით, თუმცა წულუკიანი ინარჩუნებს თანამდებობას. მაშინ სად მიდის კახი შვილი? საუბრობენ იმაზეც, რომ მასაც ბევრი მტერი ჰყავს „ოცნების“ შიგნით. რას იტყვით თქვენ?

– აი, ხომ ხედავთ, ვის ებრძვიან?! ებრძვიან იმას, ვინც არის ძლიერი ფიგურა! ციხელაშვილს რატომ არ ჰყავს მტერი და მას რატომ არავინ ებრძვის?! ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ისე მოვაგვარეთ, რომ არანაირი პრობლემაა ამ კუთხით?! ებრძვიან ამ ორს! ოპოზიციას ძლიერი ფიგურები არ მოსწონს და ამიტომ ცდილობენ, ხელისუფლებას გამოუთხარონ ძირი.

– გასაგებია ოპოზიციის მიზანი, მაგრამ თავად უმრავლესობაში ხომ უნდა დააფასონ საკუთარი გუნდის წევრი, რომელიც რეალურად საქმეს აკეთებს და წარმატებულია?

– რასაკვირველია, უნდა დააფასონ და ეს მათი გუნდის წევრებს უნდა ჰკითხოთ, რატომ იქცევიან ასე. კახი შვილის წინააღმდეგ გუნდის წევრების ბრძოლა მაინცდამაინც არ გამიგია. კი, შეფასებები ვიცი ზოგიერთი უგვანო დეპუტატისგან მის წინააღმდეგ, მაგრამ სისტემური ბრძოლა არ გამიგია. ხოლო რაც შეეხება წულუკიანს, მის წინააღმდეგ ნამდვილად გამიგია.

ერთი რამ მინდა ვთქვა ყველას გასაგონად – რაც მე ვნახე სტრასბურში იუსტიციის მინისტრის და მისი გუნდის ნამუშევარი, მე ვთვლი, რომ ეს იყო ნამუშევარი ასიანზე! პირველად ვნახე საერთაშორისო ტრიბუნაზე მდგარი შერცხვენილი რუსეთი. თანაც იურიდიული თვალსაზრისით ისე იყო საქმე მომზადებული, რომ რუსეთის მხარის ძალიან სერიოზულმა დასავლელმა ადვოკატებმა ვერაფერი ქნეს და რაღაც სისულელეები ილაპარაკეს.

– კვირიკაშვილის გუნდის წევრები ერთი მეორის მიყოლებით ტოვებენ თანამდებობებს, კუდიანებზე ნადირობად მონათლეს ეს პროცესი. ვინც კი მის გვართან ასოცირდებოდა, ყველას უშვებენო. შესაძლოა, ზოგიერთ მათგანს პატიმრობაც ემუქრებოდესო. თქვენ რა ინფორმაციები გაქვთ?

– ალავიძეს რომ ნიშნავდა კვირიკაშვილი, მაშინ სად იყო ეს ხალხი?! არ იცოდნენ, ალავიძე ვინც იყო?! ხომ იცოდნენ, რომ ალავიძე იყო ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ფიგურა წინა ხელისუფლებისა და ზუსტად ამ საქმით იყო მაშინაც დაკავებული. პარლამენტმა არ დაამტკიცა ალავიძე?! ახლა გამოიყვანეს მხოლოდ კვირიკაშვილის გუნდის წევრად. არა, ბატონებო, ვინც დაამტკიცა, იმისი გუნდის წევრიც არის! ამიტომ პასუხისმგებლობა უნდა იყოს ყველასი, ეს ეხება ქუმსიშვილს თუ ალავიძეს! თვითონ კვირიკაშვილის კორუფციაში მონაწილეობის არ მჯერა, მართალი გითხრათ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მე მაქვს საშუალება, რომ კვირიკაშვილის ოჯახის ცხოვრების წესს დავაკვირდე წლების განმავლობაში. განა იმიტომ, რომ ახლობლები ვართ, არა, მე არც მის მეუღლეს ვიცნობ და არც – მის შვილებს, მაგრამ თბილისი პატარა ქალაქია და ვიცი ყველაფერი. მათი ცხოვრების წესი განსაკუთრებულად არ შეცვლილა არასდროს, რასაც ვერ ვიტყვი ზემოთ ჩამოთვლილ ორ პიროვნებასა და მათ ოჯახებზე.

– ალავიძეს და ქუმსიშვილს გულისხმობთ?

– რასაკვირველია. რა თქმა უნდა, ყველამ პასუხი უნდა აგოს თავის დანაშაულზე, თუმცა ყველაში მარტო ამ ორს არ ვგულისხმობ. სხვებიც იყვნენ ამაში და ჩართული არიან დღესაც.

– პარლამენტშიც ძლიერი დასაყრდენი ჰყავდა კვირიკაშვილს და მალე იმ კომიტეტის თავმჯდომარეებიც დატოვებენ თანამდებობას, ვინც მისი გუნდის წევრი იყოო.

– შეიძლება ესეც მოხდეს. კი, იქ არის რამდენიმე კაცი კვირიკაშვილის საახლობლოდან, ზუსტად ვიცი, რომლებიც კვირიკაშვილის გამო მოხვდნენ სიაში, სწორედ კვირიკაშვილის ინიციატივით გახდნენ ისინი კომიტეტების თავმჯდომარეები. თუმცა ვერ გეტყვით, რომ ამ ხალხს რაღაც განსაკუთრებული დანაშაული აქვს ჩადენილი.

– სერიოზული წმენდა დაიწყო „ოცნებაში“?

– გაიხსენეთ ღარიბაშვილის გადადგომის პერიოდი, მაშინაც ზუსტად იგივე მოხდა. ღარიბაშვილი შეეწირა თავის გუნდს! ასეთივე სიტუაცია იყო ახლაც. კვირიკაშვილს კი არ ჩაუდენია დანაშაული, მისი გუნდის ქმედებას შეეწირა კვირიკაშვილის პოსტი.

ორფოლოში წვრთნაზე 31 წლის ჯარისკაცი მირზა ჩაჩუა გარდაიცვალა

ორფოლოში, პოლიგონზე მიმდინარე გეგმიური წვრთნისას გარდაცვლილი ჯარისკაცი 31 წლის მირზა ჩაჩუაა.როგორც „ნიუპოსტს“ თავდაცვის სამინისტროში განუცხადეს, კაპრალი გულის უკმარისობით საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

– საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კაპრალ მირზა გიას ძე ჩაჩუას (დაბადებული 17.02.1987 წ.) გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 34-ე საარტილერიო ბატალიონის მძღოლი ორფოლოში, პოლიგონზე მიმდინარე გეგმიური წვრთნის ერთ-ერთი ეტაპის დასრულების შემდეგ შეუძლოდ გახდა, რის შემდეგაც ის გულის უკმარისობით ახალციხის კლინიკა „უნიმედის“ რეანიმაციის განყოფილებაში გადაიყვანეს. მას გულის პირდაპირი მასაჟის სარეანიმაციო ღონისძიებები ჩაუტარდა, თუმცა კაპრალ გია ჩაჩუას გადარჩენა ვერ მოხერხდა, – აცხადებენ იზორიას უწყებაში.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის დეპარტამენტის ახალციხის რაიონულმა სამმართველომ, 116-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საწვავი კიდევ გაძვირდა

ბოლო ორი კვირის განმავლობაში ზოგიერთ ბრენდირებულ სადგურზე ზოგიერთი ტიპის საწვავი კიდევ გაძვირდა. კერძოდ, ფასებმა ზოგიერთი ტიპის საწვავზე 2-5 თეთრით მოიმატა.

როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ვებ-გვერდზეა აღნიშნული, დღეის მდგომარეობით, „ლუკოილის“ ავტოგასამართ სადგურებზე „პრემიუმ ავანგარდი“ 2.41 ლარი ღირს, მაშინ როცა 22 ივნისის მდგომარეობით, მისი ფასი 2.36 ლარი იყო; 3 თეთრით მოიმატა „ევრო რეგულარის“ ფასმა და 2.29 ლარი გახდა; „ევრო დიზელის“ ფასი კი 2.36 ლარიდან 2.39 ლარამდე გაიზარდა. რაც შეეხება „ევრო სუპერის“ ტიპის საწვავს, მისი ფასი არ შეცვლილა და კვლავ 2.53 ლარი ღირს.

ივნისის შემდეგ საწვავის ფასი შეიცვალა „ვისოლის“ სადგურებზეც. კერძოდ, „ეკოპრემიუმის“ ღირებულება 3 თეთრით გაიზარდა და 2.55 ლარი ღირს; ასევე 3 თეთრით არის გაძვირებული 1 ლიტრი „ევრო რეგულარის“ ფასი და 2.45 ლარი ღირს; „დიზელ ენერჯის“ ფასი კი – 2.42 ლარიდან 2.44 ლარამდე არის მომატებული. რაც შეეხება, ეკო „სუპერისა“ და „ეკო დიზელის“ ტიპის საწვავს, „ეკო სუპერი“ 3 თეთრით გაძვირდა და 2.65 ლარი ღირს; ეკო დიზელის“ ფასი კი 2 თეთრით გაიზარდა და 2.54 ლარი გახდა.

რაც შეეხება სხვა ავტოგასამართ სადგურებს, „რომპეტროლის“ სადგურებზე „ევრო პრემიუმის“ ფასი – 2.52 ლარიდან 2.55 ლარამდეა გაზრდილი; 3 თეთრით გაძვირდა „ევრო რეგულარის“ ტიპის საწვავი და 2.45 ლარი ღირს; ამასთან, „ეფიხ ევრო დიზელი“ დღეის მდგომარეობით, 2.50 ლარი ღირს, მაშინ როცა 22 ივნისის მდგომარეობით, 2.48 ლარი იყო; ხოლო 1 ლიტრი „ევრო დიზელი“ 2 თეთრით გაძვირდა და 2.44 ლარი ღირს; „სუპერის“ ღირებულება კი 3 თეთრით გაიზარდა და 2.65 ლარი გახდა.

ზოგიერთი ტიპის საწვავი გაძვირდა ასევე „სოკარის“ ავტოგასამართ სადგურებზეც. კერძოდ, 1 ლიტრი „პრემიუმის“ ფასი – 2.48 ლარია, მაშინ როცა 22 ივნისის მდგომარეობით, 2.45 ლარი ღირდა; 5 თეთრით არის მომატებული 1 ლიტრი „რეგულარის“ ფასი და 2.38 ღირს; „ევრო დიზელი“ 2.45 ლარიდან 2.48 ლარამდე გაძვირდა; დიზელის ფასი კი 5 თეთრით გაიზარდა და დღეის მდგომარეობით, 2.38 ლარია; „სუპერის“ ტიპის საწვავი კი არ შეცვლილა და კვლავ – 2.58 ლარი ღირს.

22 ივნისის შემდეგ ფასები არ შეცვლილა „გალფის“ ავტოგასამართ სადგურებზე. კერძოდ, დღეის მდგომარეობით, „სუპერი“ 2.58 ლარი ღირს; 1 ლიტრი „G-Force პრემიუმის“ ფასი 2.44 ლარია; „G-Force ევრო რეგულარი“ 2.39 ლარი ღირს; 1 ლიტრი „რეგულარის“ ფასი კი 2.34 ლარია; ხოლო „ევრო დიზელისა“ და დიზელის ღირებულება შესაბამისად, 2.49 ლარი და 2.44 ლარია.

ბპნ

შალვა შავგულიძე: „მთავარ პროკურორად ხელისუფლება მისთვის მისაღებ კანდიდატს დანიშნავს“

ნათია ხურცილავა

მთავარი პროკურორობის ერთ-ერთი კანდიდატი **შალვა შავგულიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საპროკურორო საბჭოში მთავარი პროკურორის შერჩევის ტელევიზიით ტრანსლირება უნდა მოხდეს.

– ბატონო შალვა, 11 ივლისს საპროკურორო საბჭო მთავარი პროკურორობის 3 კანდიდატს მოუსმენს. „ევროპული საქართველო“ ამ სხდომის პირდაპირ ტრანსლირებას ითხოვს. თქვენი პოზიცია როგორია?

– აბსოლუტურად ლოგიკური და სწორი მოთხოვნაა, ვინაიდან დემოკრატიული მმართველობა გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობას. საზოგადოებამ უნდა მოისმინოს, როგორ წარიმართება საპროკურორო საბჭოში გასაუბრება მთავარი პროკურორობის კანდიდატებთან. საბჭოს წევრები რა კითხვებს დასვამენ, რას უპასუხებს თითოეული კანდიდატი, საერთო ჯამში რა კრიტერიუმებით იქნება შეჯამებული სხდომა და მიღებული გადაწყვეტილება რითი იქნება მოტივირებული საბჭოს წევრების მიერ.

– შოთაძის გადადგომას წინ რა პროცესებიც უძღოდა, გასაგებია, მაგრამ დღეს რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის, თუ როგორი პროკურორი იქნება არჩეული?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით დღეს ჩვენს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ ეს არ იყოს პირი, რომელიც კონტროლირებადი იქნება, მმართველი პოლიტიკური ძალის ნებას იქნება დამორჩილებული. წლების მანძილზე ვიღებთ სწორედ ასეთ პროკურორებს, ასეთი პროკურორების მიერ ნახელმძღვანელები საქმიანობა კი საზოგადოებაში პროტესტს იწვევს, რადგან ის უკანონოა.

ამ ყველაფერს ის ცუდი კანონი განაპირობებს, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო. ამ კანონის ძალით პროკურატურა ინსტიტუციურად სრულად მმართველი პოლიტიკური ძალის ნების კონტროლს დაექვემდებარა. ამ კანონის მიღება როდესაც ხდებოდა პარლამენტში, მე მაშინ პარლამენტის წევრი გახლდით და ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები, ვეწინააღმდეგებოდით, ვცდილობდით, რომ ეს კანონი არ მიეღო მმართველ ძალას. ვენეციის კომისიასაც ძალიან კრიტიკული დასკვნა ჰქონდა, პირდაპირ ჩანაწერი იყო, რომ ეს კანონი არ პასუხობს პროკურატურის დეპოლიტიზაციის მოთხოვნას, რაც დღეს უმთავრესი პრობლემაა პროკურატურის სისტემისთვის.

– არასამთავრობო სექტორის პოზიციაზე რას იტყვით, რომელიც პროცესს აპროტესტებს?

– რასაკვირველია, მე ვეთანხმები არსამთავრობო სექტორს, რომ ეს კანონი შესაცვლელია.

პროკურატურის ცუდ საქმიანობაზე, ისევე, როგორც მთლიანად სასამართლო სისტემის რეფორმის ჩავარდნაზე პასუხისმგებლობა პოლიტიკური თანამდებობის პირმა უნდა აიღოს და ეს არის იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. ამდენად, ლოგიკური და სამართლიანი მოთხოვნაა, რომ ის აღარ უნდა იყოს მთავრობის შემადგენლობაში, მაგრამ მე არ ვეთანხმები არასამთავრობო სექტორს საკითხის ისე დაყენებაში, რომ ვიდრე თეა წულუკიანი მინისტრის თანამდებობაზე რჩება, ვიდრე არ მივიღებთ ახალ კანონს, მანამდე არ გვაინტერესებდეს, თუ როგორი პერსონა იქნება მთავარ პროკურორად დანიშნული.

მხოლოდ საზოგადოებრივმა წნეხმა, ხალხის საპროტესტო მუხტმა, სოლიდურმა, მრავალრიცხოვანმა საპროტესტო აქციამ ხელისუფლება აიძულა, რომ მთავარი პროკურორი გადაეყენებინა. ამას გამოყენება სჭირდებოდა. საჭირო იყო მეტი აქტიურობა ოპოზიციური სპექტრის მხრიდან, რომელმაც საერთოდ აღარ იაქტიურა. მან პროცესს იგნორირება გაუკეთა. ეს სერიოზული შეცდომა იყო მათი მხრიდან. არასამთავრობო სექტორს, რომელიც ამ პროცესს საერთოდ გაემიჯნა, ბოლომდე უნდა ებრძოლა. პროფესიულ წრეებს, იურიდიულ საზოგადოებას უფრო უნდა ეაქტიურათ, რომ ჩვენ საზოგადოების მხრიდან ფართოდ მხარდაჭერილი კანდიდატები წარგვედგინა.

საზოგადოებრივი წნეხი არ უნდა ჩამქრალიყო და ხელისუფლება უნდა გვეიძულებინა, რომ რეალურად საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი პირი დაენიშნა პროკურორად. ხელისუფლებამ მთავარი პროკურორი შეწირა იმ პროცესს, რომ მეტი პოლიტიკური ფასი არ გადაეხადა.

დღეს ხელისუფლება კომფორტულ მდგომარეობაშია, რომ ისევ მისთვის სასურველი პირი დანიშნოს პროკურორად.

– ასეთია თქვენი მოლოდინი?

– შექმნილ ვითარებაში ცოტა დემოკრატიულობა რომ შესძინოს ამ პროცესს, ეს შეუძლია საბჭოს ტრანსლირებას, მაგრამ ეს ბევრს არაფერს შეცვლის.

– 11 ივლისს საპროკურორო საბჭო გადაწყვეტილებას მიიღებს, რა მოლოდინი გაქვთ?

– გულწრფელად რომ გითხრათ, ვინაიდან არ ყოფილა სოლიდური მხარდაჭერა არასახელისუფლო კანდიდატის მიმართ, ხელისუფლება მისთვის სასურველ კანდიდატს დანიშნავს პროკურორად და ამაში ნაკლებ პოლიტიკურ ფასს გადაიხდის. სამწუხაროდ, წარმატებული პირველი ეტაპი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი საზოგადოების მიერ.

– გამორიცხავთ, რომ ვინაიდან მთავარი პროკურორობა მოქმედ პროკურორ ნადარეიშვილს უნდოდა, საპროკურორო საბჭომ თადუმაძის კანდიდატურა ჩააგდოს?

– ვერაფერს გეტყვით. არ ვიცი, ლოგიკა მკარნახობს, რომ ხელისუფლებას არ უნდა გაუჭირდეს საკუთარი კანდიდატურის არჩევა, მით უფრო, ამ ფონზე.

სხვისი თეფშიდან ჭამა ზვიად კუპრავას 5.000 ლარი დაუჯდა

შორენა მარსაგიშვილი

სხვისი ჭიქიდან ჩაის დალევის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი გახდა, ზვიად კუპრავა კი სხვისი თეფშიდან საჭმლის შეჭმის გამო კინაღამ 2 წლით პატიმრობაში გაუშვეს.

პატიმრობას მართალია გადაურჩა, მაგრამ სასამართლოში სადილობა მაინც ძალიან ძვირი დაუჯდა. მას ამ „დანაშაულისთვის“ სასამართლომ აღმკვეთის სახით 5.000 ლარიანი გირაო შეუფარდა.

არადა, რამდენიმე კვირის წინ, იმ პოლიციელებს საყვედური გამოუცხადეს, ვინც კუპრავას სადილი შეაწყვეტინა.

რამდენადაც ცნობილია, კუპრავასთვის არც სხვის თეფშს უჩივლია და არც ის სხვა ადამიანი ჩანს, ვისი თეფშიდანაც მოხდა საკვების მიტაცება. საინტერესოა, როგორ დაადგინა პროკურატურამ, რომ კუპრავა სხვისი თეფშიდან ჭამდა. თეფშის ექსპერტიზა ვერ ჩატარდებოდა – სასადილოში შეჭრილმა პოლიციელებმა იქაურობა სერიოზულად არიეს და მაგიდაც ამოაყირავეს, რომლის შედეგადაც სხვისი და საკუთარი თეფშები ერთმანეთში აირია.

საინტერესოა ისიც, თუ როგორ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კუპრავამ დამატებითი საკვები არა გასტრონომიული პრობლემების მოსაგვარებლად მიირთვა, არამედ სასამართლოს მიმართ გამოხატა უპატივცემულობა.

საბედისწერო სადილი, რომელიც სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელს 5.000 ლარად შეუფასეს, საქალაქო სასამართლოს შენობაში გაიმართა.

მიმდინარე წლის 11 ივნისს ზვიად კუპრავა რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციაზე, ბიოტუალეტში დაკავეს. მასთან ერთად დაკავებული იქნა ლაშა ცუცქირიძე, იგივე კაა.

კუპრავას პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას ედავებოდნენ. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია. დაცვის მხარემ მოსამართლეს დრო სთხოვა, რომ ამის დასამტკიცებლად ფირები წარედგინათ. ვარაუდობდნენ, რომ ვიდეო-ჩანაწერებს რუსთაველის გამზირზე მდებარე კამერებიდან ამოიღებდნენ. რასაც მინიმუმ ერთი კვირა მაინც სჭირდებოდა.

მოსამართლემ მათ მხოლოდ ერთი საათი მისცა. კუპრავას განმარტებით, ის ერთ საათში არა თუ ფირების ამოღებას, არამედ დიღმიდან რუსთაველზე გასვლას და უკან დაბრუნებას ვერ მოასწრებდა. და რადგანაც მშიერი იყო, გადაწყვიტა საქალაქო სასამართლოს სასადილოში ესადილა. მასთან ერთად იმყოფებოდა ზაზა სარალიძეც.

მოულოდნელად სასადილოში პოლიციელები შეიჭრნენ და კუპრავა მაგიდიდან ძალის გამოყენებით გაიყვანეს. კი იძახდა ის ადამიანი, ჭამა მაცალეთო, მაგრამ ამაო იყო მისი ვედრება. 9 ივლისს გამართული სასამართლოდან თუ ვიმსჯელებთ, პოლიცია დროულად შეიჭრა სასადილოში. წინააღმდეგ შემთხვევაში კუპრავა მეტს შეჭამდა და მოსამართლე გირაოდ უფრო მაღალ თანხას შეუფარდებდა.

პროკურატურა კუპრავასთვის ან 2 წლით პატიმრობას ან 5.000 ლარიან გირაოს ითხოვდა. დაცვის მხარე მზად იყო 1.000 ლარიანი გირაო გადაეხადა. ეტყობა სასამართლოში ძვირიან კერძებს ამზადებენ და მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილმა მას 5.000 გირაო შეუფარდა.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელს სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას ედავებიან. კუპრავას სხვისი თეფშიდან ჭამა სწორედ ამ მიზნით დაუწყია.

„ახალი თაობა“ გთავაზობთ ზვიად კუპრავას საბრალდებო დასკვნის ამონარიდს, სადაც ბრალმდებელი ბრალის მიზეზს განმარტავს:

– პოლიციის მუშაკთა არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ზვიად კუპრავამ უარი განაცხადა სხდომის დარბაზში დაბრუნებაზე და დროის გაჭიანურების მიზნით სხვა პირის თეფშიდან განაგრძო საკვების მიღება.

მუხლი 366. სასამართლოს უპატივცემულობა

1. სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფით, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.



2. იგივე ქმედება, რაც გამოიხატა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფით, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ 14-დან 15 საათამდე მოსამართლემ შესვენება გამოაცხადა, ზვიად კუპრავა არ გათავისუფლებულა დაკავებიდან, იგი გავიდა სხდომის დარბაზიდან და თვითნებურად ჩავიდა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციული შენობის სასადილოში.

* * *

სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენმა მთელი საქართველო გაახალისა. ამ თემაზე სერიოზულად მსჯელობა მართლაც შეუძლებელია. სხვებისგან განსხვავებით, კუპრავას სახუმაროდ ნამდვილად არა აქვს. მან 5.000 ლარი უნდა იშოვოს.

– ეს განაჩენი კი სასაცილო, მაგრამ აღარც სასაცილოა. ეს ყველაფერი უკვე მარაზმში გადავიდა, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ზვიად კუპრავა.

ისე, მართლა მარაზმია, ადამიანს სხვისი თეფშიდან ჭამის გამო 5.000 ლარიანი გირაო შეუფარდო, მაშინ როცა, დავით სარალიძის მკვლელები დადგენილებიც კი არ არიან.

ხელისუფლება სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელს ზონდერობას აბრალებდა და ახლა სხვისი თეფშიდან ჭამამდე ჩამოქვეითდნენ.

* * *

ეს ამბავი სასაცილო კია, მაგრამ როგორც ამბობენ, ყოველ უარყოფითში რაღაც დადებითი არსებობს. ამ შემთხვევაშიც არის დადებითი – ხალხი სხვისი თეფშიდან ჭამას აღარ გაბედავს. სასამართლოს უპატივცემულობაში ჩაუთვლიან.

საინტერესოა, გახდება თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტის ჭამა დასჯადი, რაც პირდაპირ სისხლის სამართლის დანაშაულია და სასამართლოსთან ერთად მთელ სახელმწიფოს აყენებს შეურაცხყოფას.

„ქართულ ღვინოს ხარისხის პრობლემა ნამდვილად აქვს“

– ქართული ღვინის ხარისხის პრობლემა ყველაზე მწვავედ ღვინის მწარმოებელ მსხვილ კომპანიებში დგას, – ასე ეხმაურება „რუისპირის ბიოდინამიური მეღვინეობის“ ხელმძღვანელი გიორგი ალადაშვილი ბიზნესმენ მამუკა ხაზარაძის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მაღალხარისხიანი ღვინო ნაკლებად იწარმოება.

ალადაშვილის შეფასებით, ქართულ ღვინოს ხარისხის და, შესაბამისად, ფასის პრობლემა ნამდვილად აქვს. ამის მიზეზად კი მეღვინე სფეროში არსებულ განათლების დაბალ დონეს და ყურძნის დაბალ ხარისხს ასახელებს. როგორც ალადაშვილი აცხადებს, მევენახეობაში არ არის შესაბამისი განათლება, ღვინის ხარისხი კი მევენახეობიდან იწყება.

– არ იციან, ვინ რა წამლით და როდის უნდა შეწამლოს ვენახი. აქედან გამომდინარე, ხარისხი დაბლა ვარდება, – აცხადებს ალადაშვილი.

მისი განცხადებით, ხარისხის პრობლემა ყველაზე მწვავედ ღვინის მწარმოებელ მსხვილ კომპანიებში დგას, რადგან ამ დროს აქცენტი რაოდენობაზე კეთდება და არა ხარისხზე.

– პატარა მარნები გადასული ვართ იმაზე, რომ ვაწარმოოთ ძირითადად მაღალხარისხიანი ღვინო, ბიოდინამიკის მიდგომაც სწორედ ეს არის. მაგალითად, ჩემი ღვინის მინიმალური ფასი 115 ლარიდან იწყება. ვთვლი, რომ ქართულ ყურძენს თუ სწორად მოუვლი, აქვს იმის პოტენციალი, რომ ხარისხიან პროდუქტად იქცეს და მისგან წარმოებული ღვინო მაღალსეგმენტში იქნას რეალიზებული. ზუსტად დიდი კომპანიების მიერ წარმოებული ღვინოები იყიდება 2 დოლარად, თორემ მარნების ღვინოები 10 დოლარად მაინც იყიდება, – აცხადებს ალადაშვილი.

როგორც „რუისპირის ბიოდინამიური მეღვინეობის“ ხელმძღვანელი განმარტავს, საერთაშორისო ბაზრებზე არის ქართული ღვინოები, რომელიც დაბალ ფასად, მაგალითად, 10 დოლარად იყიდება. ეს ფასი კი 1 ბოთლი ღვინისთვის ძალიან დაბალია. ასევე არის ღვინოები, რომელიც 2 დოლარად იყიდება. „ასეთი ღვინოები არ მიმაჩნია მე ღვინოდ“, – აცხადებს ალადაშვილი.

შეგახსენებთ, ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ ჟურნალ ანაკლიასთან მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ არ შეიძლება ქართული ღვინო ბორჯომის ფასად იყიდებოდეს. ბიზნესმენი თვლის, რომ ქართული ღვინის ხარისხი უნდა აღდგეს.

– ღვინის ხარისხი უნდა აღვადგინოთ. კარგია, რომ უამრავი მარანი გააქტიურდა. მაგრამ ძალიან შორს ვართ იმისგან, რომ ვთქვათ: ქართული ღვინო არის მაღალხარისხიანი. და შორს ვართ მისი სწორად პოზიციონირებისგანაც. არ შეიძლება, ქართული ღვინო 2 დოლარი ღირდეს. თუ არ მეშლება, შარშან, დაახლოებით 70 მლნ ბოთლი გაიყიდა და ეს დაახლოებით 120 მლნ დოლარია. არ შეიძლება, იყო ღვინის 8000-წლიანი ისტორიის მქონე ქვეყანა, როგორიც მეორე არ არის მსოფლიოში და ღვინოს ბორჯომის ფასად ყიდდე. ძვირად გაყიდული ღვინო მატერიალურად ქართველი გლეხის ფეხზე დაყენებაა. თითქოს არაფერი, მაგრამ ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი მესიჯია – როგორც კი ხარისხის და უნიკალურობის მიმართულებას აიღებ, როცა აქ მაღალი კლასის ღვინის მოყვარულებს ჩამოიყვან და ამ ინფრასტრუქტურაში ჩადებ ინვესტიციას, საქართველო გახდება უნიკალური ქვეყანა, სადაც შეგეძლება ისეთი ღვინო დააგემოვნო, რომელსაც მსოფლიოში სხვაგან ვერსად ნახავ, – ამბობს ხაზარაძე.

კომერსანტი

„ეჭვი მეპარება, გახარია მაჩალიკაშვილს კონსპირაციულ ბინაში შეხვედროდა“

რა საფრთხეებს ხედავს ვახტანგ მაისაია

გულიკო ბალაძე

სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი **ვახტანგ მაისაია** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ შესაძლოა ისლამური სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდებოდეს საინფორმაციო და სხვა სახის შემოტევები, რადგან საქართველო ყოველთვის იყო მათი ინტერესის არეალი.

– ბოლო დროს ორი ფაქტი იწვევს ეჭვს, რომ, შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდეს ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლების გააქტიურებას. პირველი – მალხაზ მაჩალიკაშვილმა განაცხადა, რომ ორი პირი დაუკავშირდა, რომელიც ეუბნებოდა, რომ შს მინისტრს მასთან კონსპირაციულ ბინაში სურდა შეხვედრა. მეორე – გიორგი გაბედავამ დადო ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაცია, თითქოს ბათუმში მოხდა აფეთქება, დაღუპულია 21 ადამიანი. და პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო. ასეთი საინფორმაციოები უნდა დაიხუროს. ვინც ამის უკან დგას, უნდა გაუშვა ციხეში, – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

– ბატონო ვახტანგ, სინამდვილეში ბათუმში არაფერი მომხდარა.

– დიახ, ეს ინფორმაცია გიორგი გაბედავამ დადო, ხალხო, ხმა ამოიღეთო. შს სამინისტროსაც მიმართავს. მართალია ეს კაცი, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ასეთი ტყუილი ინფორმაციის გავრცელება ხუმრობა არ არის, ტერორიზმის წახალისებაა.

– ე.ი. რეალურად, არავითარი აფეთქება ბათუმში არ მომხდარა და ტყუილი ინფორმაცია გაავრცელეს.

– დიახ. შესაძლოა ვიღაცამ გაიხუმრა. მერე მე იმ საიტზე ვნახე, ეწერა ბიძინა ივანიშვილს გველმა უკბინაო. ასეთი მაიმუნობები ეწერათ. ბათუმში ტერორისტული აქტი მოხდა და ისლამური სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობასო, არ შეიძლება. ამის დამწერი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მაშინვე უნდა დააპატიმრო.

– ამით რა პრობლემა შეიქმნა? თქვენ რა პრობლემას ხედავთ?

– შეიძლება ეს იყოს მართლაც ტერორისტების შემოგდებული ტყუილი ინფორმაცია. ღმერთმა დაგვიფაროს, შეიძლება ნიადაგის მოსინჯვა იყოს, ისეთი ფაქტებიც ყოფილა, წინასწარ ინფორმაცია გაუშვიათ და შემდეგ ტერაქტი რეალურად განუხორციელებიათ. არ გამოვრიცხავ, მართლაც ტერორისტების ხელი ერიოს. ამიტომ ამის დამწერი უნდა დაიჭირო ახსნა-განმარტების გარეშე.

– შეიძლება ტერორისტების მხრიდან საინფორმაციო შემოტევა იყოს?

– დიახ, ბუნებრივია. ადამიანი, ვინც ამას აკეთებს, უნდა დაპატიმრდეს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, რადგან გავრცელებული ინფორმაცია არის ტერორისტების მხარდაჭერის რეალური გამოხატულება.

– ფიქრობთ, რომ ტერორისტული აქტის თაობაზე სოციალურ ქსელებში შეგნებულად ვრცელდება ცრუ ინფორმაცია?

– დიახ. ამგვარმა ინფორმაციამ ამიტომ აღმაშფოთა.

– რა საფრთხეს ქმნის ასეთი ტყუილი ინფორმაციები, თუნდაც, დავარქვათ ხუმრობა?

– შეიძლება ეს ტყუილი არ იყოს. შეიძლება ვიღაც იდგეს ამ ინფორმაციის უკან და გამაფრთხილებელი მესიჯი იყოს. შეიძლება ვინმე აფრთხილებს საზოგადოებას, მე ამას გავაკეთებო. ეს უკვე აღარ არის ხუმრობა, სერიოზული საფრთხეა.

– შეიძლება რეალურად, ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლები იდგნენ ამის უკან?

– არ არის გამორიცხული. ეწერა, რომ ეს ისლამურმა სახალიფომ გააკეთაო. ეს სერიოზული მინიშნებაა. შეიძლება ეს დაკავშირებული იყოს მაჩალიკაშვილთან, მანამდე ჩატაევთან. ეს არის ერთი ჯაჭვი.

– შეიძლება ნიადაგი მოსინჯეს, როგორ რეაგირებას მოახდენდა სახელმწიფო?

– არ გამოვრიცხავ, ან ნიადაგის მოსინჯვა იყოს, ან – გაფრთხილება.

– მაჩალიკაშვილის მიერ გაცხადებული რას შეიძლება უკავშირდებოდეს?

– ცოტა გაურკვეველია, მაგრამ მაჩალიკაშვილმა განაცხადა, რომ ვიღაცები აპირებენ მის ლიკვიდაციას, ასეთი დასკვნა გამოვიტანე. მაჩალიკაშვილმა განაცხადა, რომ მას დაუკავშირდა ვიღაც ორი ადამიანი, რომ მინისტრ გახარიას მასთან კონსპირაციულად უნდოდა შეხვედრა. ვიღაც ორი ადამიანი, რომლებიც ისლამურ სახალიფოსთან არის დაკავშირებული.

– თუკი გახარიას უნდოდა შეხვედრა მაჩალიკაშვილთან, ისლამურ სახალიფოსთან როგორ შეიძლება იყოს დაკავშირებული?

– მეორე ადამიანის მეშვეობით. ერთი მანამდე ინტერპოლით იძებნებოდა, მეორე სირიაში დადიოდა და შს სამინისტროსთან დაახლოებული პირიაო. ორჯერ შემხვდა და მეუბნებოდა, წამიყვანდა კონსპირაციულ ბინაში, სადაც გახარია შემხვდებოდაო. მე ეჭვი მეპარება, გახარია მაჩალიკაშვილს კონსპირაციულ ბინაში რატომ შეხვდებოდა? ან ატყუებდნენ მაჩალიკაშვილს, ან სხვა რაღაც არის.

– სხვა რა შეიძლება იყოს? შეიძლება ვიფიქროთ, რომ გარკვეული დრო გავიდა ჩატაევის მკვლელობიდან და რაღაც ჯგუფი ამოქმედდა შურის საძიებლად?

– გამორიცხული არაფერია. აბუჯიხადი გაუჩინარდა, ვისაც თავის დროზე ჩატაევი უგზავნიდა მესიჯს აუდიო-ვიდეო ჩანაწერით, მისი კვალი არ ჩანს. ის არც დაიჭირეს, არც გამოვლინდა მისი კვალი თბილისში. ჩემი აზრით, აბუჯიხადი იყო თბილისში, მაგრამ სად წავიდა, არ ვიცი, მისი კვალი დაიკარგა. აბუჯიხადი, რომელიც ყაბარდოელია, ჩატაევის მარჯვენა ხელი იყო, სულ ერთად დადიოდნენ.

– ეჭვი გაგიჩნდათ, რომ შეიძლება ისლამური სახელმწიფო ამოქმედდა?

– გავრცელებული ინფორმაციები მენიშნა. მისი გამავრცელებელი უნდა გამოიკითხოს, რადგან მისი გავრცელებული პოსტი არის ისლამური სახელმწიფოსადმი ინფორმაციული მხარდაჭერა.

– რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს სახალიფოს?

– ისლამურ სახალიფოს საქართველოში მიზნობრივი ქსელი ყოველთვის ჰქონდა, ჩრდილო კავკასიაში აქტიური ქსელი აქვს. ჩატაევის გამოსვლაც ადასტურებს, რომ ისლამურ სახალიფოს აძლიერებს გურჯისტანი. ადრეც ვამბობდი, რომ ასეთი ქსელი საქართველოში არსებობს, ოღონდ მიძინებულ მდგომარეობაშია. თუმცა, ნებისმიერ დროს შეიძლება აქტიურ მდგომარეობაში გადავიდეს.

– ბათუმის შესახებ გავრცელებული ეს ცრუ ინფორმაციაც შეიძლება მუქარა აღმოჩნდეს?

– შეიძლება, არ არის გამორიცხული.

– რა შეუძლია გააკეთონ ქართულმა სპეცსამსახურებმა?

– უნდა გამოიკვლიონ, ვინ მიაწოდა ასეთი ტიპის ინფორმაცია და ვინ დადო და აუცილებლად უნდა იქნას დაკავებული. აუცილებელია, მის მიმართ ტერორიზმის მხარდაჭერის მუხლი უნდა ამოქმედდეს. აქ ტოლერანტობა საჭირო არ არის.

– ტოლერანტობის ნიშნებს ხედავთ?

– არ ვიცი. არავინ იძიებს ამ ინფორმაციას და არავინ ახდენს რეაგირებას. ასეც არ შეიძლება.

– შეიძლება საიდუმლოდ იძიებენ.

– საინფორმაციო საშუალებებში ამაზე არაფერი თქმულა. თუ ამას წაუყრუებენ, შეიძლება მძიმე შედეგები მოგვიტანოს.

გიორგი ჩერქეზიშვილი: „საგადასახადო რეჟიმი, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს მცირე და საშუალო მეწარმეებს, უპრეცედენტოა“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ქუთაისში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა. როგორც „კომერსანტს“ ეკონომიკის სამინისტროდან აცნობეს, გიორგი ჩერქეზიშვილის შეხვედრა ადგილობრივ ბიზნესსექტორთან დაბეგვრის ახალი, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შესახებ მთავრობასა და ბიზნესს შორის მიმდინარე ღია

დიალოგის ფარგლებში გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ფინანსთა მინისტრმა ნიკოლოზ გაგუამ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ნინო ჩიქოვანმა.

მცირე მეწარმეებისთვის დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი 1-ელი ივლისიდან უკვე ძალაშია. მისი ამოქმედების პირველივე ეტაპზე მთავრობის წევრები მეწარმეებს პირადად ხვდებიან, რათა ყველა შესაძლო კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცეს. ამასთან, მინისტრები უშუალოდ მეწარმეებისგან იღებენ ინფორმაციას და ისმენენ მათ მოსაზრებებს რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. ქუთაისში მიმდინარე შეხვედრაში 200-მდე ბიზნესმენმა მიიღო მონაწილეობა – მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა მთელი დასავლეთ საქართველოდან.

– ეს არის უპრეცედენტო საგადასახადო რეჟიმი, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს მცირე და საშუალო მეწარმეებს, რათა მათ უფრო მეტი ინიციატივა გამოიჩინონ ბიზნესის განვითარებისთვის, – აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას. გიორგი ჩერქეზიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მთავრობის პრიორიტეტია.

– ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვახორციელებთ სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან და გვაქვს ძალიან ბევრი წარმატებული პროექტი, მათ შორის მიმდინარე. მოხარული ვარ, რომ დღეს შევხვდით ამ პროგრამების ბენეფიციარებს, რომლებთანაც ვიმსჯელეთ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს და როგორ განვითარდეს აღნიშნული პროგრამები, – განაცხადა გიორგი ჩერქეზიშვილმა.

მასშტაბური საგადასახადო ცვლილება 120 ათასამდე მეწარმე ფიზიკურ პირს შეეხება. ახალი საგადასახადო რეჟიმი, ერთი მხრივ, აწესებს მინიმალურ საგადასახადო ტვირთს მცირე ბიზნესისთვის, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მეწარმეებისთვის გამარტივებული საგადასახადო აღრიცხვის მეშვეობით, მინიმუმამდე შემცირდეს საგადასახადო ადმინისტრირების დანახარჯები.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭებათ მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში 500.000 ლარამდე იქნება, ნაცვლად მანამდე არსებული 100.000 ლარისა. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 5%-ისა.

კომერსანტი

თამაზ მეჭიაური: „საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ საქმე სისტემურ კორუფციასთან გვაქვს“

„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, თუმცა ისინი უხარისხოა,“ – ამის შესახებ „კომერსანტს“ თიანეთის მერმა თამაზ მეჭიაურმა განუცხადა.

როგორც მეჭიაური აღნიშნავს, თიანეთის მუნიციპალიტეტში თანხების არამიზნობრივი ხარჯვა ხდება. კერძოდ, საკითხი წყალსადენების სისტემას ეხება. მისი თქმით, არასრულფასოვანი სამუშაოების ჩატარების გამო თიანეთს უხარისხო წყალი მიეწოდება.

ამასთან მერი თიანეთში, წყალზე დაწესებულ მაღალ ტარიფზეც საუბრობს და სურს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად წყალმომარაგების კომპანიის ახალ ხელმძღვანელს ეკატერინე გალდავას შეხვდეს.

– თიანეთში წყლის ტარიფი, ქვეყნის მასშტაბით, ყველაზე მაღალია – 2.01 თეთრი. რეგიონში ყველაზე მაღალი ტარიფი 70 თეთრია, ჩვენთან კი სამჯერ მეტი. აღნიშნულზე წინა ხელმძღვანელობის პირობებში საკითხი დავაყენე, მაგრამ არ გადაწყდა. წყალი მოსახლეობას შეზღუდულად მიეწოდება, მაგრამ ამაში დიდ თანხას იხდიან.

სოფელ ზარიძეებში წყლის სისტემებზე ორი მილიონ შვიდასი ათასი ლარია დახარჯული. წყალი კი უხარისხო და მღვრივეა და მისი გამოყენება დასალევად შეუძლებელია.

იგივე პრობლემა დგას თიანეთის ბევრ სოფელში, მაგალითად, ჟებოტასა და სიონში. აქ პრობლემაა ისიც, რომ მოსახლეობას წყალი გრაფიკით ან შეფერხებით მიეწოდება, – განაცხადა მეჭიაურმა.

თიანეთის მერი, რუსული კომპანიის მიერ უხარისხოდ აშენებულ საბავშვო ბაღების თემასაც შეეხო.

– რაც შეეხება თიანეთის მუნიციპალიტეტში არსებულ საბავშვო ბაღების მოწყობის პრობლემას. გაჭიანურებულია და სასამართლო პროცესი გრძელდება სამ საბავშვო ბაღზე. კერძოდ, ჩაბანოში, ახალსოფელსა და ნაქალაქარში. საბავშვო ბაღები რუსულმა კომპანიამ „ნიკარემ სტროიმ“ უხარისხოდ მოაწყო და

მასზე პასუხისმგებელმა პირებმა შესასრულებელ სამუშაოებს 123 000 ლარი დააკლეს, – აღნიშნა მეჭიაურმა.

მერი დაბა სიონში პრობლემად უხარისხოდ დაგებულ გზებსაც ასახელებს და მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ამ ხარვეზების გამოსასწორებლად თანხა ხელახლა უნდა გამოყოს, ან კომპანიებს ხარვეზების გამოსწორება აიძულონ.

ყველა ზემოთ მოყვანილ ფაქტში თამაზ მეჭიაური ზაქარია ქუცნიაშვილს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ თიანეთის მაჟორიტარი დეპუტატი გარკვეულწილად საკრებულოზე ზემოქმედებს და ცდილობს მუშაობაში ხელი შეუშალოს.

– მაგალითად, ორჯერ ჩაგვიგდეს ბიუჯეტი და შემდეგ დაგვიანებით

გაგრძელება მე-6 გვერდზე

დაბა სიონის ტურისტული განვითარება შეჩერდა?!

თიანეთის, დაბა სიონის ტურისტულ მიმართულებით განვითარებასთან დაკავშირებით თიანეთის მერი და ოლქის მაჟორიტარი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ. ზაქარია ქუცნაშვილი მერს უმოქმედობაში ადანაშაულებს, თამაზ მეჭიაური კი მაჟორიტარ დეპუტატს ბიუჯეტის „გამოცარიელებაში“ სდებს ბრალს. ამ დაპირისპირების ფონზე რეგიონის ეკონომიკურ-ტურისტული განვითარება დროში ჭიანურდება, მოსახლეობა კი მთავრობას უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს.

– იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივ არჩევნებში ერთხმიანი უპირატესობით გაიმარჯვა კანდიდატმა, რომელიც ჩვენთან არ თანამშრომლობს, სიონის სასარგებლოდ ჩვენი შესაძლებლობები შეიზღუდა, – ასე პასუხობს დაბა სიონის ტურისტულ განვითარებასთან დაკავშირებით „ბიზნესპრესნიუსის“ დასმულ კითხვას დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი „ქართული

ოცნებიდან“, ზაქარია ქუცნაშვილი. მისი თქმით, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, რეგიონის განვითარება შეჩერდა. თიანეთის მერი თამაზ მეჭიაური კი მაჟორიტარს ასევე „ბიზნესპრესნიუსის“ საშუალებით პასუხობს და ამბობს, რომ „დიახ, შეჩერდა, მაგრამ არა თიანეთის და სიონის განვითარება, არამედ ქუცნაშვილის მიერ ბიუჯეტის ძარცვა“. ამასთან, აღნიშნავს, რომ იმ მცირე ბიუჯეტით, რომელიც ქუცნაშვილის საკრებულომ დაუმტკიცა, ინფრასტრუქტურულ პროექტებს მაინც ახორციელებს, მომავალში კი გაცილებით მეტია დაგეგმილი.

თიანეთის, კერძოდ დაბა სიონის განვითარებაზე ზაქარია ქუცნაშვილი უკვე წლებია საუბრობს. დღესაც დეპუტატი ამბობს, რომ ადგილობრივ არჩევნებამდე რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის, გზის დაგება, ელექტროფიცირება და გაზიფიცირება მოესწრო, თუმცა, თამაზ მეჭიაურის პირობებში რეგიონში აღარაფერი გაკეთებულა.

– სიონი არის აღმოსავლეთ საქართველოს ტბებიდან და წყალსაცავებიდან ერთ-ერთ საუკეთესო. აქ თავს იყრის მტკნარი წყალი, რომელიც არის გამდინარე და არ ჭაობდება. სიონს ეს დიდი უპირატესობა აქვს. თუმცა, მას ინფრასტრუქტრული დიდი ჩამორჩენა ჰქონდა. ჩვენ შევიმუშავეთ კომპლექსური ღონისძიებების ნუსხა. აქ პირველ რიგში შევიტანეთ ელექტროფიცირებისა და გზების საკითხის მოგვარება. როგორც იცით, სიონი დაკავშირებულია ერთი მხრივ, საგარეჯოს, ასევე მცხეთის და მესამე მიმართულებით თიანეთის მუნიციპალიტეტებთან. სამივე მიმართულებით გზა დანგრეული იყო. ჩვენ 2 წელში ეს პრობლემა დავძლიეთ. ყველა ოჯახის ინდივიდუალური გამრიცხველიანება მოვახდინეთ და მთის კანონის შედეგად გავუნახევრეთ დენის ტარიფი. შარშან შევიყვანეთ ბუნებრივი აირიც. დღეის მდგომარეობით, გაზი ყველა ოჯახს აქვს, – აცხადებს ზაქარია ქუცნაშვილი.მისი თქმით, გეგმაშია შიდა გზებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებაც, თუმცა, ახალი მერის პირობებში, ეს საკითხიც გაურკვეველია.

– იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივ მუნიციპალურ არჩევნებში ერთხმიანი უპირატესობით გაიმარჯვა კანდიდატმა, რომელიც ჩვენთან არ თანამშრომლობს, სიონის სასარგებლოდ ჩვენი შესაძლებლობები შეიზღუდა.

ამიტომ, მე გამიჭირდება გითხრათ, რა სიკეთეს შეიძლება ელოდეს ადგილობრივი მოსახლეობა. განვითარებას სჭირდება ცოდნა, ცოდნას სჭირდება სიყვარული და მონდომება. სამწუხაროდ, მე ვერც ერთს ვერ ვხედავ, – აცხადებს ქუცნაშვილი.

კითხვაზე – ამ ეტაპზე თიანეთის მუნიციპალიტეტის და კერძოდ დაბა სიონის განვითარება შეჩერებულია, ქუცნაშვილი პასუხობს, რომ ეს უნდა ვკითხოთ მეჭიაურს, რადგან მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ გზების, მყარი ნარჩენების, გაზიფიცირებისა და ელექტროენერგიის პრობლემა მოაწესრიგა, მას არაფერი გაუკეთებია.

რაც შეეხება ტურიზმის, საკურორტო ზონებისა, სასტუმროების განვითარებას, ქუცნაშვილი ამბობს, რომ ეს უკვე კერძო სექტორის საზრუნავია.

– მას შემდეგ, რაც მოწესრიგდა რიგი პრობლემები, სიონს გაუჩნდა შესაძლებლობა, რომ გახდეს 4 სეზონის კურორტი. მანამდე ზამთრის პირობებში შეშის ღუმელებით ათბობდნენ სახლებსა და სტუმრის ოთახებს, ამიტომ თანამედროვე დამსვენებელი იქ არ გაჩერდებოდა. ახლა უკვე ოჯახებს შესაძლებლობა აქვთ საკუთარი სასტუმროები მოაწყონ. ბევრი ვიცი კიდეც, ვინც სახლი გადააკეთა ე.წ გესტ ჰაუსად და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მსგავსად, სიონელებმაც დაიწყეს თავისი საცხოვრისის გამოყენება სასტუმრო დანიშნულებით, – აცხადებს ზაქარია ქუცნაშვილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით „ბიზნესპრესნიუსი“ თიანეთის მუნიციპალიტეტის მერს თამაზ მეჭიაურსაც დაუკავშირდა, რომელიც აცხადებს, რომ იმ მცირე ბიუჯეტით, რაც გააჩნიათ, პროექტების განხორციელება მაინც ხერხდება.

– ბატონ ზაქარიას სწორად უთქვამს, რომ შეჩერებულია, მაგრამ არა თიანეთის განვითარება, არამედ მის მიერ ბიუჯეტის ძარცვა. მისი ოჯახური ბიზნესის აღმშენებლობაც შეჩერებულია. თუ ამას გულისხმობდა, ნამდვილად ასეა. რაც შეეხება თიანეთის მუნიციპალიტეტის განვითარებას, ეს პროცესი მიმდინარეობს. საუბარია შიდა გზების გაყვანაზე, საბავშვო ბაღების, სკოლების მშენებლობაზე.

რაც შეეხება სიონის განაშენიანებას, რა თქმა უნდა, 7 თვეში ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, მაგრამ მაქსიმალურად იმ პირობებში, რა ბიუჯეტიც გაგვაჩნია, ვცდილობთ, რომ მოვაწესრიგოთ, სისუფთავე დავიცვათ, ხელი შევუწყოთ მცირე ბიზნესის განვითარებას. მაგალითად, პატარა კაფეების გახსნით რომ დაინტერესდნენ და ამით დამსვენებლების მომსახურება გაუმჯობესდეს. ეს, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოა, მაგრამ ჩვენ იმ ბიუჯეტით ვმუშაობთ, რომელიც მათმა საკრებულომ დაგვიმტკიცა. იქიდან გამომდინარე, რომ ქუცნაშვილის მიერ ფული კარგად იყო გახარჯული, ახლა გაგვიჭირდა მნიშვნელოვანი ძვრების განხორციელება, – აცხადებს მეჭიაური.

მისივე თქმით, იგეგმება კიდევ არაერთი პროექტი, რომელსაც ახალი ხელისუფლების დამტკიცების შემდეგ განახორციელებს.

– გზების მოასფალტება წელს დაიწყო და მომავალ წელს დასრულდება. ეს სწორედ ამისთვისაა, რომ ტურისტული მიმართულება განვითარდეს. ასევე ვიწყებთ სიონის მიმართულებით ორი გზის, მათ შორის ცენტრალურის მოასფალტებას. თუ ამინდებმა ხელი შეგვიწყო, შეიძლება წლის დასრულებამდეც მოვრჩეთ. ასევე აქტიურად მიმდინარეობს, ახმეტა-თიანეთის გზის მოასფალტებაც. პირდაპირ კახეთთან დააკავშირებს სამხედრო გზა ჟინვალს, რაც ტურისტების ნაკადს კიდევ უფრო გაზრდის. ასევე ჩრდილოეთ მიმართულებით 3 სერიოზული პროექტი მზადდება, რომლის მიხედვითაც მოასფალტდება ლაშარის, ჯიჯეთისა და ახალსოფლის მიმართულება. ეს არის მცირე ჩამონათვალი.

რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმას, მზადდება სერიოზული დოკუმენტი, ველოდებით მთავრობის დამტკიცებას, რის შემდეგაც ეს დოკუმენტიც დამტკიცდება. ამის მერე კიდევ უფრო დაჩქარდება პროცესები“, – აცხადებს თამაზ მეჭიაური.

ადგილობრივები ამბობენ, რომ თიანეთში რაღაც ნამდვილად კეთდება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის და აუცილებელია, რომ მთავრობამ რეგიონის განვითარების მიმართულებით უფრო აქტიური ნაბიჯები გადადგას.

– აუცილებელია, პასუხისმგებელმა პირებმა რეგიონის მოსახლეობის ინტერესი გაითვალისწინონ. 2 პიროვნების დაპირისპირება ჩვენზე რატომ უნდა აისახოს? – ამბობენ თიანეთელები.

ბან

რაჭაში ტყეს ბიძინა ივანიშვილის კომპანიები ჭრიან, სვანეთში ინვესტორი და მოსახლეობა

Global Forest Watch-ის მონაცემებით კი, 2001-2017 წლებში საქართველოში 9,700 ჰექტარი ტყე გაქრა. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ტყის ყველაზე დიდი მოცულობა 2014 წელს გაიჩეხა და 1,97 ჰექტარი შეადგინა.

Global Forest Watch-ის კვლევა ასევე აჩვენებს, რომ 2017 წელს ტყის მასივი ყველაზე მასშტაბურად 5 რეგიონში შემცირდა, კერძოდ სამცხე-ჯავახეთში – 1,9%, თბილისში – 0,8 %, ქვემო ქართლში – 0,52%, კახეთში – 0,32%, იმერეთში – 0,27%.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ კონსერვაციის პროგრამის კოორდინატორი ირაკლი მაჭარაშვილი „კომერსანტთან“ საუბარში ამბობს, რომ ზუსტი მონაცემის დადგენა, თუ რა მოცულობის ტყე იჩეხება საქართველოში, რთულია:

– გაცილებით მეტი იჭრება, ვიდრე რეალური სტატისტიკა აჩვენებს.Global Forest Watch-ს აქვს სპეციალური რუკა, სადაც ჩანს ტყის გამეჩხერების მონაცემი. ასევე არის კოსმოსური რუკა, თუმცა ყველა ჭრის გადაღება შეუძლებელია, რეალურად ადგილზე უარესი სიტუაციაა.

ირაკლი მაჭარაშვილის შეფასებით, ბოლო წლებში ყველაზე მეტი ზიანი ტყეს იმ კომპანიებისგან მიადგა, რომლებიც ჭრას ახორციელებდნენ საკუთარი ბიზნესის გასაფართოებლად:

– ტყეების ის რაოდენობა, რაც გაანადგურა „არემჯი გოლდმა“ დმანისში, ბოლნისში და თეთრწყაროში, საკმაოდ მასშტაბურია. ასევე საკმაოდ მოცულობითი ჭრები განხორციელდა სვანეთში „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობამდე და შემდეგაც. ადგილობრივი მოსახლეობისგან მაქვს ინფორმაცია, რომ იმ ტერიტორიის მიმდებარედ, სადაც „ნენსკრა ჰესი“ აშენდა, ხდებოდა უკანონო ჭრები. რასაც აფიქსირებდა შსს, თუმცა ამის გამო არავინ დასჯილა. საკმაოდ მასშტაბურია ჭრები რაჭაში, სადაც ბიძინა ივანიშვილის რამდენიმე კომპანია ფლობს ლიცენზიას და ახდენს ხე-ტყის ლეგალურად ჭრას.

რომელი კომპანიები ფლობენ ხე-ტყის ჭრაზე ლიცენზიას და რომელ რეგიონებში ხდება კომერციული ჭრა, ასევე რა მოცულობის მწვანე საფარი გაანადგურეს ბიზნესკომპანიებმა მიზნობრივად ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად, ამ თემაზე ინფორმაციას „კომერსანტი“ ეროვნული სატყეო სააგენტოდან ელოდება.

* * *

როგორ რეგულირდება ხე-ტყის ჭრა

დღეს არსებული მონაცემებით, ქვეყანაში ტყის ჭრა კომპანიისათვის მიცემული ხანგრძლივ ვადიანი-ლიცენზიის მეშვეობით ხდება. 2018 წელს ამ მიმართულებით ლიცენზია არ გაცემულა. თუმცა ჭრები მაინც ხდება, რადგან კომერციული ორგანიზაციები ფლობენ ხე-ტყის ჭრაზე ვადიან ლიცენზიას.

ტყის მოცულობის შემცირება ხდება ასევე სპეციალური ჭრებით, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ინფრასტრუქტურული პროექტების გამო. მაგალითად, ჰესის მშენებელ კომპანიას შეიძლება სახელმწიფომ მისცეს უფლება, რაღაც ფართობზე ხე-ტყე პირწმინდად მოჭრას. ასევე კომერციულ ორგანიზაციებს მისცენ ხე-ტყის დამზადების ფუნქცია. არსებობს ასევე ეგრეთწოდებული ტყის სოციალური ჭრა, როდესაც პირადი მოხმარების მიზნით მოსახლეობას ეძლევა საშეშე მერქნის მოპოვების უფლება. ამას ემატება არალეგალური ჭრებიც.

საქსტატის მონაცემებით, ქვეყნიდან (გასწვრივ დახერხილი ან დასახერხი) ხე ტყის მასალის ექსპორტის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება.

2012 წელს ქვეყნიდან 9.516.300 აშშ დოლარის ღრებულების (გასწვრივ დახერხილი ან დასახერხი) ხე-ტყის მასალა გავიდა. 2013 წელს – 11.730.600 აშშ დოლარის, 2014 წელს 11.331.000 აშშ დოლარის. 2015 წელს ექსპორტი ოდნავ შემცირდა და 10.937.200 აშშ დოლარი შეადგინა. 2016 წლიდან ეს მაჩვენებელი მზარდია. ამ წელს ქვეყნიდან 13.612.000 აშშ დოლარის ღირებულების (გასწვრივ დახერხილი ან დასახერხი) ხე-ტყის მასალა გავიდა, 2017 წელს ეს მაჩვენებელი 16.799.100 აშშ დოლარს გაუტოლდა. 2018 წლის იანვარ-მაისში კი ექსპორტმა 6 289.600 აშშ დოლარი შეადგინა.

FAO: სურსათის ფასები 2018 წელს პირველად შემცირდა

ძირითად საკვებ პროდუქტებზე საერთაშორისო ფასები 2018 წლის განმავლობაში პირველად ივნისში დაეცა.

FAO-ს სურსათის ფასების ინდექსმა ივნისში 173.7 ქულა შეადგინა, რაც მაისის თვესთან შედარებით 1.3 პროცენტით შემცირებულია. ვარდნა ძირითადად განპირობებული იყო ხორბალზე, სიმინდსა და მცენარეულ ზეთზე ფასების შემცირებით. FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი წარმოადგენს ძირითადი საკვები პროდუქტების კალათაში საერთაშორისო ფასების ყოველთვიური ცვლილების საზომს.

FAO მარცვლეულის ფასების კოეფიციენტი ერთ თვეში 3.7 პროცენტით დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მარცვლეულის წარმოების პერსპექტივები გაუარესდა, სიმინდისა და ხორბლის საერთაშორისო ფასებში შედარებით მკვეთრი ვარდნა არსებობდა. ამავდროულად, ბრინჯის ფასი გაიზარდა.

FAO-ს მცენარეული ზეთის ფასების კოეფიციენტი მაისიდან 3.0%-ით შემცირდა და 29 თვის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. ასევე დაეცა პალმის, სოიოს და მზესუმზირის ზეთის ფასებიც.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ინტენსიური ვაჭრობა განსაკუთრებით მძიმედ აისახა აშშ-ის საწყის საექსპორტო ფასებზე, განსაკუთრებით ეს სოიოს ეხება, რომელზეც დოლარის გამყარებამ დამატებითი ზეწოლა წარმოშვა.

FAO-ს რძის ფასის ინდექსი 0.9 პროცენტამდე დაეცა. ფასები შემცირდა ყველზეც – რაც ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო დიდი ექსპორტის შესაძლებლობებს წარმოშობს.

FAO-ს ხორცპროდუქტების ფასის კოეფიციენტი მაისიდან მოყოლებული 0.3% -ით გაიზარდა, რასაც მოჰყვა ცხვრისა და ღორის ხორცის ღირებულებების სწრაფი ზრდაც.

გაზრდილიაFAO შაქრის ფასის კოეფიციენტიც, ზრდა 1.2% -ია. ფასის მატება აღნიშნული ექვსთვიანი ვარდნის შედეგია, რაც მეტწილად ბრაზილიაში ცხელ ამინდს უკავშირდება. მსოფლიოში ყველაზე დიდ შაქრის მწარმოებელ და ექსპორტიორ ქვეყანაში ამინდი უარყოფითად იმოქმედებს შაქრის მოსავალსა და წარმოებაზე.FAO-ს ექსპერტები მარცვლეულის წარმოებისა და მარაგების შემცირებასაც ვარაუდობენ.

კომერსანტი

ფინანსთა მინისტრის სავარაუდო კანდიდატად არჩილ გაჩეჩილაძე დასახელდა

ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე, სავარაუდოდ, არჩილ გაჩეჩილაძის კანდიდატურა დასახელდება.

არჩილ გაჩეჩილაძე წლების განმავლობაში გალტ&თაგარტის ხელმძღვანელი იყო. შემდეგ ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა ეჭირა. ამჟამად იგი BGEO ჯგუფის ხელმძღვანელია.

კომერსანტი

თამაზ მეჭიაური: „საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ საქმე სისტემურ კორუფციასთან გვაქვს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

დაგვიმტკიცეს. ამან მუშაობის პროცესი შეაფერხა. მეტიც, როდესაც ტენდერში ესა თუ ის კომპანია იმარჯვებს და ხედავ, რომ საქმე უხარისხოდ კეთდება, მაგრამ მიღება-ჩაბარებაზე ხელს აწერ, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ საქმე სისტემურ კორუფციასთან გვაქვს. არ შეიძლება ყველას დაუსჯელობის სინდრომი ჰქონდეს. რაში იხარჯება ეს თანხები, არავის აინტერესებს, – აღნიშნა მეჭიაურმა.

საუბრის ბოლოს თამაზ მეჭიაური აცხადებს, რომ თიანეთში გასულ წლებთან შედარებით პრობლემები ნაკლებია, თუმცა ბოლომდე აღმოფხვრილი ჯერ კიდევ არ არის.

კომერსანტი

„მალხაზ კობაურმა რაიან სმიტი და მისი 4 წლის შვილი თოფით მოკლა, ლორა სმიტი ხევში გადავარდა და ისე დაილუპა“

„ახალი თაობა“ უკვე წერდა ხადას ხეობაში ამერიკული ოჯახის დაღუპვის შესახებ. გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ინციდენტის უკან შეიძლებოდა დანაშაული ყოფილიყო.

გუშინდელმა მოვლენებმა ეს ვარაუდი გაამართლა.

9 ივლისს, დღის პირველ ნახევარში, ხადას ხეობაში ამერიკის მოქალაქეებისა და მათი მცირეწლოვანი შვილის მკვლელობის საქმეზე შსსში ბრიფინგი გაიმართა.

მასზე ითქვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი, ორი ან მეტი პირის, მათ შორის, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1998 წელს დაბადებული მალხაზ კობაური დააკავეს.

მის მიერ ჩადენილი დანაშაული უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიმდინარე წლის 6 ივლისს „112“-ში შევიდა შეტყობინება საქართველოსა და ამერიკის ორმაგი მოქალაქეობის მქონე 2 პირის და მათი 4 წლის შვილის დაკარგვის შესახებ. შეტყობინების ინიციატორის თქმით, დაკარგულები დუშეთის რაიონში, ხადას ხეობაში იმყოფებოდნენ და მათთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა.

პოლიციელებმა და მაშველებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს სამძებრო სამუშაოები და შეტყობინებაში მითითებული ადგილები დაათვალიერეს. სამართალდამცველებმა სოფელ წკერეში დაკარგულების კუთვნილი ავტომანქანა და პირადი ნივთები აღმოაჩინეს.

იმავე დღეს, სამართალდამცველების და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველების ინტენსიური სამძებრო სამუშაოების შედეგად, 1976 წელს დაბადებული ლორა სმიტი ხევში, ჩანჩქერის პირას, გარდაცვლილი იპოვეს.

ლორა სმიტს პირველადი დათვალიერების შედეგად ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა.

შემდგომი სამძებრო სამუშაოების შედეგად, 7 ივლისს, ხევში მდებარე ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე 1975 წელს დაბადებული რაიან სმიტის ცხედარი აღმოაჩინეს.

თავდაპირველად გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. სამედიცინო ექსპერტიზის პირველადი მონაცემების მიღების შემდეგ საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით გადაკვალიფიცირდა.

გატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამართალდამცველებმა მკვლელობაში ბრალდებული 1998 წელს დაბადებული პირი დააკავეს, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული.

მასთან საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს 2014 წელს დაბადებული მცირეწლოვნის ცხედარი.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 4 ივლისს, ხადას ხეობაში მდებარე ერთ-ერთი ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას მალხაზ კობაურმა სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა რაიან სმიტს და მის შვილს. ხოლო ლორა სმიტი შემთხვევის ადგილიდან გაქცევის მცდელობისას ხევში გადავარდა და გარდაიცვალა.

დაკავებულმა მოკლული მამაკაცი შემთხვევის ადგილას დატოვა, ხოლო მცირეწლოვნის ცხედარი ზვავში დამალა.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი, ორი ან მეტი პირის, მათ შორის, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

გამოძიების ფარგლებში გარდაცვლილთა ცხედრებს უტარდება ყველა შესაბამისი ექსპერტიზა. ჩადენილი დანაშაული უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბრალდებულის შერაცხადობის საკითხის გასარკვევად კი ჩატარდება ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

გარდაცვლილები საქართველოში 6 წელზე მეტი ხანია ცხოვრობდნენ, ხოლო ორმაგი მოქალაქის სტატუსი მათ 2012 წელს მიიღეს. ისინი მარნეულის მუნიციპალიტეტში ცხოვრობდნენ.

მოხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება.

* * *

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, 19 წლის ქართველმა მწყემსმა სმიტების ოჯახი ჯერ მიაცილა შემთხვევის ადგილამდე, შემდეგ კი მამაკაც ტურისტსა და მწყემსს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, რის შემდეგაც მან ამერიკელი ცოლ-ქმარი და მათი 4 წლის შვილი გასროლით მოკლა.

– ქალს ფეხი მოუცურდაო, მწყემსი მიხმარებია და ქმარი აშარებულა, – აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი.

„ნიუპოსტისთვის“ ექსკლუზიურად მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებულმა აღიარა, რომ მას სურდა ქალის გაუპატიურება, რის გამოც ლორა სმიტის მეუღლე მოკლა, ხოლო 4 წლის მცირეწლოვანი ბავშვი, რომელიც ამ შემზარავ ფაქტს შეესწრო და ატირდა, ასევე მოკლა.

– ტიროდა, შემეცოდა და მოვკალი, – უთქვამს დაკავებულს პოლიციისთვის.

ადგილობრივების ინფორმაციით, 19 წლის მწყემსსა და რაიან სმიტს შორის ფიზიკური დაპირისპირება, სავარაუდოდ, ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა, რის შემდეგაც მან სმიტი მოკლა:

ადვოკატი: „მალხაზ კობაურს სახე დაზიანებული აქვს. ის ბრალს არ აღიარებს“

– ქალს ფეხი დაუცდა სურათის გადაღების დროს, მივვარდი, რომ არ გადავარდნილიყო, ეს ცუდად შენიშნა იმ კაცმა და სახეში გამარტყაო. ამის შემდეგ გავმწარდი, ავიღე თოფი და ვესროლეო.

ამის შემდეგ, მწყემსმა ლორა სმიტზე ძალადობა სცადა, თუმცა, გაქცევისას ლორა სმიტი ჩანჩქერიდან გადავარდა და დაიღუპა. ამის შემდეგ მწყემსმა მათი მცირეწლოვანი შვილი თოფით მოკლა.

– ჯერ კაცი ჰყავს მოკლული, ქალზე იძალადა და მერე ბავშვიც მოკლა. როგორც ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, მოკლულ კაცს სახეში აქვს ნასროლი, თვალებიც არ აქვს... ბავშვის ზურგჩანთაც გახვრეტილია, რომელიც მოკლულს ზურგზე ეკეთა. მერე ცხენის ძუაზე მოუბამს ეს კაცი და ისე გამოუთრევია, – განუცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა „ქრონიკას“.

როგორც ხადას ხეობაში ამბობენ, თავად მწყემსმა შეატყობინა სოფლის მოსახლეობას, რომ ახალგაზრდა ქალის გვამი იპოვა, რასთან მიახლოებაც, მისივე თქმით, ეშინოდა.

მათივე ინფორმაციით, მცირეწლოვანი ბავშვის სამძებრო ოპერაციაში თავად დაკავებულიც მონაწილეობდა.

19 წლის მალხაზ კობაური წილკნის დევნილთა დასახლების მკვიდრია. ბრალდებული ხადას ხეობაში მწყემსად მუშაობდა.

მისმა მშობლებმა გუშინ მედიასთან კომენტარი გააკეთეს.

მამას, იორამ კობაურს, არ სჯერა, რომ მის შვილს ასეთი დანაშაულის ჩადენა შეეძლო.

– კუნძზე თავს დავდებ და დავიფიცებ, რომ ჩემი შვილი მაგის გამკეთებელი არ არის. ჯერ ჩემს შვილს ვეძებდი, რა მოხდა-მეთქი, გავარკვიო, ხომ უნდა ვიცოდე ჩემი შვილისგან, რა მოხდა, შვილო, შენ გააკეთე თუ არა ესა? – განაცხადა იორამ კობაურმა.

იგივეს ამბობს დაკავებულის დედა მარიამ მარტიაშვილი.

– მე დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილი ამას არ ჩაიდენდა, – თქვა მან.

ის ამბობს, რომ, 7 ივლისს თავის შვილს ტელეფონით ესაუბრა, რომელმაც მოუყვა, რომ ხეობაში ტურისტები მოკლეს.

დაკავებულის დედა შს სამინისტროსგან ობიექტური სიმართლის დადგენას ითხოვს.

– მე დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილი მაგას არ ჩაიდენდა. ძალიან ვთხოვ შინაგან საქმეთა სამინისტროს, წესიერად გამოიკვლიოს ეს საქმე და გამაგებინონ სწორი პასუხი. ეს ჩემი შვილის გაკეთებული არ არის. ბოლოს 7 ივლისს დამირეკა, მოვიკითხე, როგორ ხარ-თქო და მითხრა, რომ კარგად იყო. მითხრა, ძალიან დიდი უბედურება მოხდა, ტურისტები დახოცესო – ეს იყო სულ ჩვენი საუბარი. მომიყვა, ბევრი ხალხი ტრიალებს დაბლა ჭალაზეო და ეს იყო სულ, – განუცხადა დაკავებულის დედამ ტელეკომპანია „იმედს“.

მარიამ მარტიაშვილი ამბობს, რომ ცოლ-ქმრის რეალური მკვლელის ვინაობის დასადგენად იბრძოლებს.

– 7 ივლისის მერე მასთან არ მიკონტაქტია, ტელეფონი არ იჭერდა იქ. აქ კი ჩემს სახლთან პოლიცია აივლიდა-ჩაივლიდა, თითქოს მე მყავდა მკვლელი სახლში დამალული. ვაპირებ სასამართლოზე მისვლას და თუ ჩემს შვილს გამამტყუნებელ განაჩენს გამოუტანენ, გავასაჩივრებ იმიტომ, რომ მგონია, ეს ვიღაცის მიერ ჩადენილი მკვლელობაა და მას აბრალებენ. ასეთია ჩემი ვერსია. მაინც ვიპოვი დამნაშავეს, თუნდაც მიწაში ჩაძვრეს. მე არ ვმუშაობ და ჩემს არასრულწლოვან შვილებს ეს არ ჩენდა. სულ 6 შვილი მყავს. ჩემ მეუღლესაც იგივე ვერსია აქვს, რომ ამ ყველაფერს ჩემ შვილს აბრალებენ. მე დედა ვარ და შეიძლება ხელი დავაფარო, მაგრამ მეზობლები გეტყვიან მის დადებით თვისებებზე, – განაცხადა მარიამ მარტიაშვილმა.

* * *

დაკავებულის მეზობლის თქმით, 19 წლის ბიჭს პოლიციასთან საქმე არასდროს ჰქონია.

– ბავშვი ისე გაიზარდა, რომ გამარჯობის თქმა ერიდებოდა, საცოდავი ბავშვი იყო. მამა ავადმყოფი ჰყავს, გაჭირვებული ოჯახია, იმისთვის იყო წასული, რომ ოჯახი ერჩინა, – განაცხადა დაკავებულის მეზობელმა.

* * *

მალხაზ კობაურის ადვოკატი მურმან ნიკოლეიშვილი აცხადებს, რომ დანაშაულს მისი დაცვის ქვეშ მყოფი არ აღიარებს.

როგორც ნიკოლეიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, დეტალებზე საუბრის ნებართვა მისი დაცვის ქვეშ მყოფისგან არ აქვს, თუმცა, ადვოკატმა აღნიშნა, რომ დაკავებულს სახის არეში დაზიანებები აღენიშნება.

– შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ დაზიანება მას ნამდვილად აქვს სახის არეში. თუმცა, საიდან და როგორ მიიღო ეს დაზიანებები, დეტალებზე ამ ეტაპზე ვერ ვისაუბრებ ისევ ბრალდებულის სურვილიდან გამომდინარე. მას არ სურს, დეტალურად ვისაუბრო მედიასთან. დაზიანებასთან დაკავშირებით მას უკვე ჩაუტარდა ექსპერტიზა. თუმცა, პასუხები ჯერჯერობით არ ვიცით.

შევხვდი და ვესაუბრე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს, თუმცა დეტალებზე ვერაფერს გეტყვით. რა ინფორმაციაც მედიაში ვრცელდება, მისი მონათხრობი ამისგან განსხვავებულია. შეიძლება ითქვას, რომ ბრალს არ აღიარებს, – განაცხადა ადვოკატმა.

ნიკოლეიშვილი არ საუბრობს იმასთან დაკავშირებით, რა ვითარებაში ნახა გარდაცვლილი ლორა სმიტი დაკავებულმა. ასევე ადვოკატი კომენტარისგან თავს იკავებს მალხაზ კობაურის შერაცხადობის საკითხზე საუბრისგანაც.

თბილისის აეროპორტში რუსმა ბიკოვმა ქიმიური იარაღი იპრიტი შეიტანა



მასობრივი განადგურების ქიმიური იარაღი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში აღმოჩნდა – მომწამვლელი ნივთიერება, რომელიც ხალხით სავსე გაფრენის დარბაზში შეიტანეს, პი ესის წყაროს ინფორმაციით, იპრიტია. მას ისლამური სახელმწიფო სირიაში იყენებს.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მასობრივი განადგურების ქიმიური იარაღი 47 წლის დიმიტრი ბიკოვმა შეიტანა. ის რუსეთის მოქალაქეა და ამჟამად პეტერბურგში ცხოვრობს. დიმიტრი ბიკოვის პირად ნივთებში ლარსის საბაჟო გამშვებ პუნქტზე მებაჟეებს საეჭვო არაფერი უპოვიათ. როგორც ჩანს, არც აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურს მოეჩვენა საეჭვოდ ბიკოვი.

თვითმხილველები ყვებიან, რომ ბიკოვმა სიცოცხლისთვის საშიში სითხე რუსული ავიახაზების – „აეროფლოტის“ გაყიდვების ოფისის კედელზე მიასხეს. დარბაზში მყოფები ამბობენ იმასაც, რომ ტერიტორიაზე მძიმე სუნი დადგა და ადგილი, სადაც ძლიერი ქიმიური ნაერთი დაიღვარა, მცირე ხნით ჰაერში კვამლი წარმოიქმნა.

თავად ბიკოვი ბრალდებას უარყოფს. საქმის მასალების მიხედვით კი ქიმიური იარაღით დიმიტრი ბიკოვი თბილისის საერთაშორისო რუსული ავიახაზების გაყიდვების მენეჯერის სახელად აქსანას მოწამვლას ცდილობდა.

შემთხვევის შედეგად 10 ადამიანი მოიწამლა. მათი სიმპტომები ემთხვევა მასობრივი განადგურების იარაღით ინტოქსიკაციის ჩვენებებს – ფილტვის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება, კანის დაწყლულება.

ანა ნაცვლიშვილის მამა: „ჩემი შვილის მკვლელი ციხეში უნდა ჩალპეს“

გუშინ, 9 ივლისს, თემქაზე მოკლული ანა ნაცვლიშვილის სასამართლოზე მისი მამა დაიკითხა.

მამუკა ნაცვლიშვილმა თქვა, რომ ბრალდებულ ლადო გრიგალაშვილს და მის შვილს ერთმანეთი 14 წლიდან უყვარდათ.

– ჩემი შვილი და ეს არაკაცი ერთ სამშობიაროში არიან დაბადებულები. ერთად გაიზარდნენ. 14 წლისას შეუყვარდათ ერთმანეთი და გრძელდებოდა ალბათ, 7 წელი. ერთი პერიოდი დაშორებულები იყვნენ. ბრალდებული იყო ძალიან მექალთანე, ალბათ, ღალატობდა და ამის გამო დაშორდა. 2 წლის მერე მითხრა, შევრიგდითო. მკვლელობამდე ჩემი შვილისთვის არაფერი შემიმჩნევია, რომ ვინმეზე ნაწყენი ან გაბრაზებული ყოფილიყო... ჩემ შვილს მთელი ცხოვრება უყვარდა. ის სიყვარულმა დაღუპა, – განაცხადა მოკლულის მამამ.

მან გაიხსენა ისიც, თუ როგორ შეატყობინა ეს ამბავი პოლიციამ და ასევე, როგორ ეძებდა მთელი დღის განმავლობაში მის შვილს ბრალდებულთან ერთად, თუმცა, მისი თქმით, „ბრალდებულს მის მიმართ ირონიული დამოკიდებულება ჰქონდა და ანას ცხედრის ადგილს ძალით არიდებდა“.

– დილით ცოლმა გამაღვიძა, ანა არ არის სახლშიო და მისი შეყვარებულიც აქ არის, ნერვიულობსო. გვეგონა, მის დაქალთან იყო. ერთად წავედით მე და ბრალდებულები და სპეციალურად ამარიდა იმ ადგილს, სადაც ცხედარი იპოვეს – შორიდან მომატარა. ირონიულად მიყურებდა, მაგრამ ცუდს არაფერს ვფიქრობდი. მერე გავაანალიზე ეს, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

– გამაბითურა და გზისა და კვალის არევას ცდილობდა. დამნაშავე არის ეს კაცი და ერთს გთხოვთ – მაქსიმალური სასჯელი მიუსაჯეთ, ციხეში უნდა ჩალპეს. თუ 20 წელს მიუსჯით, 20 წელი იმისთვის ვიცხოვრებ, რომ როცა გამოვა, მოვკლა, – განაცხადა მამუკა ნაცვლიშვილმა.

მერკელი: „გერმანია თავდაცვის ხარჯებს გაზრდის!“

გერმანის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა იძულებულია, თავდაცვაზე ხარჯები გაზარდოს. მიზეზი რუსეთის აგრესიული პოლიტიკაა.

– ყირიმის ანექსია, ომი დონბასში მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებს. ჩვენც იძულებულნი ვართ, ამას ნატოს გაძლიერებით ვუპასუხოთ! გერმანია მზადაა, თავდაცვაზე ხარჯები გაზარდოს, – თქვა მერკელმა.

თურქეთში მატარებელი ლიანდაგიდან გადავიდა 24 ადამიანი დაიღუპა

თურქეთში სარკინიგზო ავარიის მსხვერპლთა რიცხვი 24-მდე გაიზარდა.

მანამდე ინფორმაცია 10 დაღუპულისა და 73 დაშავებულის შესახებ გავრცელდა. შემთხვევის ადგილზე სამაშველო ოპერაცია უკვე დასრულებულია. ამ დროისთვის ყველა დაშავებული ჰოსპიტალიზებულია.

8 ივლისს სამგზავრო მატარებელი, რომელსაც 360 ადამიანი გადაჰყავდა, ლიანდაგებიდან გადავიდა.

შემთხვევა ტეკირდაღის პროვინციაში, ჩორლუს რაიონში მოხდა. მატარებელი კაპიკულედან სტამბოლის მიმართულებით მიემგზავრებოდა.

იაპონიაში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 100-მდე გაიზარდა

იაპონიაში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 100-მდე გაიზარდა, ათობით ადამიანი კი დაკარგულად მიიჩნევა.

სტიქიამ ყველაზე მეტად ჰიროსიმას პრეფექტურა დააზარალა. სტიქიური უბედურება დაატყდათ თავს აგრეთვე ფუკუოკას, იამაგუტის, კიოტოსა და ოკაიამას პრეფექტურებს.

სამაშველო ოპერაციაში დაახლოებით 48 ათასი სამხედრო, პოლიციელი და მეხანძრეა ჩართული.

მეტეოროლოგები უამინდობას მომდევნო დღეების განმავლობაშიც ვარაუდობენ.

წყალდიდობა იაპონიაში 7 ივლისიდან დაიწყო.

ინდოეთში შეიარაღებული პირები პოლიციას თავს დაესხნენ

ინდოეთის ჩრდილოეთში, ჯამუსა და კაშმირის შტატებში შეიარაღებული პირების ჯგუფი ცენტრალური რეზერვის პოლიციის ძალების ბანაკს თავს დაესხა.

შეტაკება ძალოვნებსა და ექსტრემისტებს შორის მას შემდეგ მოხდა, რაც თავდამსხმელებმა პოლიციის ბანაკის ტერიტორიაზე ყუმბარა ისროლეს.

წინასწარი ინფორმაციით, პოლიციელებს შორის არავინ დაშავებულა.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ჯონსონი გადადგა

გუშინ, 9 ივლისს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჯონსონმა თანამდებობა დატოვა. პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ ჯონსონის მიერ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებას ხელი მოაწერა.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეცვლის ბორის ჯონსონს ამ თანამდებობაზე. სავარაუდო კანდიდატი უახლოეს პერიოდში დასახელდება.

– ტერეზა მეი მადლობას უხდის ბორის ჯონსონს გაწეული სამსახურისთვის, – განაცხადა პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციამ.

7 ივლისს თაიმსი წერდა, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი საგარეო საქმეთა მინისტრს ბორის ჯონსონს და ასევე სხვა მინისტრებსაც თანამდებობიდან მოხსნით დაემუქრა, თუ ისინი ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლის მისეულ გეგმას არ გაიზიარებდნენ.

პრემიერმა განაცხადა, რომ ის, ვინც მის გეგმას არ გაიზიარებდა, თანამდებობას დატოვებდა.

– სანამ ჩვენ ბრექსიტის პოლიტიკას განვიხილავდით, მე უფლება მივეცი კაბინეტის წევრებს, გამოეხატათ თავიანთი ინდივიდუალური ხედვები, – თქვა ტერეზა მეიმ.

მეის და ბორის ჯონსონს განსხვავებული წარმოდგენები აქვთ სავაჭრო ზონის შექმნასთან დაკავშირებით. ჯონსონს მიაჩნია, რომ ლონდონმა ევროკავშირთან მიმართებით უფრო მკაცრი პოლიტიკა უნდა დაიჭიროს.

გუშინვე თანამდებობა დატოვა ბრექსიტის საკითხებში მინისტრმა დევიდ დევისმა. ამ პოზიციაზე ტერეზა მეიმ დომინიკ რაბი დანიშნა.

გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმი 2016 წლის 23 ივნისს ჩატარდა. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პლებისციტში მონაწილე მოქალაქეების ნახევარზე მეტმა, რის შემდეგაც მაშინდელი პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი გადადგა – ის ევროკავშირიდან გასვლას ეწინააღმდეგებოდა. მისი ადგილი ტერეზა მეიმ დაიკავა.

ლონდონსა და ბრიუსელს შორის ბრექსიტის პირობების შესახებ ოფიციალური მოლაპარაკებები გასული წლის 19 ივნისს დაიწყო. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ტერეზა მეიმ ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლის პროცედურის შესახებ დოკუმენტს ხელი 29 მარტს მოაწერა.

გარდამავალი პერიოდი 2019 წლის 29 მარტს დაიწყება. სწორედ ამ დღეს დატოვებს დიდი ბრიტანეთი ევროკავშირს ოფიციალურად.

ბრიტანეთში ნოვიჩოკით მოწამლული ქალი გარდაიცვალა

სოლსბერის საავადმყოფოში ნოვიჩოკით მოწამლული ქალი გარდაიცვალა. ეს 44 წლის დონ სტერჯესია.

ექიმების დიაგნოზი კატეგორიულია: მოწამვლა ნოვიჩოკმა განაპირობა.

ბრიტანეთის ხელისუფლებამ მომხდარის გამო პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა. რუსები ბრალდებას უარყოფენ.

რუსეთმა აშშ-ს პუტინ-ტრამპის განცხადების პროექტი გადასცა

გაზეთ „კომერსანტის“ ცნობით, რუსულმა მხარეს ამერიკელებს პუტინ-ტრამპის საერთო განცხადების პროექტი გადასცა

მასში ნათქვამია, რომ რუსეთ-აშშ-ს თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ცალკეული რეგიონების, ასევე მთელი მსოფლიოსათვის.

პუტინ-ტრამპის შეხვედრისას აქცენტი სავარაუდოდ სირიაზე გაკეთდება. კერძოდ, მხარეები შეთანხმდებიან იმაზე, რომ სირიას პროირანული ტერორისტული დაჯგუფებები დატოვებენ. ამის პარალელურად ამერიკული არმიის გამოყვანის პროცესიც დაიწყება. მის ნაცვლად სირიაში ასადის რეჟიმის მომხრე სახელმწიფო ჯარი განთავსდება. სავარაუდოდ, ეს ირანი იქნება.

სირია ერთადერთი საკითხია, რაზეც შესაძლებელია, რომ ტრამპი და პუტინი შეთანხმდნენ. ტრამპსაც საფუძველი ექნება განაცხადოს, რომ რუსეთთან ურთიერთობების დალაგება დაიწყო.

მსგავსი პერსპექტივა აშშ-ში შეშფოთებას იწვევს. სენატორმა ერნსტმა ტრამპს ოფიციალურად მიმართა. მან აშშ-ის ლიდერს მოუწოდა, რომ სირიიდან ამერიკული არმიის გამოყვანის საკითხში არ აჩქარდეს.

– უდავოა, რომ სირიაში ომი უნდა შეწყდეს, მაგრამ რუსეთთან ერთად ამის მიღწევა ვერ მოხერხდება! შედეგად მხოლოდ იმას მივიღებთ, რომ სირიაში და შესაბამისად ახლო აღმოსავლეთში რუსები გაძლიერდებიან, – ამბობს სენატორი.

მაიკ პომპეო ვიეტნამში ჩავიდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში ჩავიდა. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ აშშ-სა და ვიეტნამს შორის ახლო და პარტნიორული ურთიერთობა დამყარდა.

– ოდესღაც ჩვენ მოწინააღმდეგენი ვიყავით. ახლა ეს წარსულში დარჩა, – თქვა პომპეომ.

მან ჩრდილოეთ კორეის დიქტატორ კიმ ჩენ ინს მოუწოდა, აიღოს მაგალითი ვიეტნამისგან, რათა აშშ-სთან ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს.

– კიმს ვურჩევ, ახსოვდეს, რომ ამერიკასთან ურთიერთობა მის ქვეყანას ჰაერივით სჭირდება. სხვაგვარად ვერ გადაწყდება ის უთვალავი პრობლემა, რომელთა წინაშეც ჩრდილოეთ კორეა აღმოჩნდა, – თქვა პომპეომ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ზაზა ფაჩულია დეტროიტში ითამაშებს



ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ლიგის ორგზის ქართველი ჩემპიონი, ზაზა ფაჩულია კარიერას დეტროიტ პისტონსში გააგრძელებს.

საქართველოს ნაკრების ყოფილი კალათბურთელი და კაპიტანი დეტროიტული გუნდის შემოთავაზებას დათანხმდა და 2018-19 წლების სეზონში 2,4 მილიონი დოლარის სანაცვლოდ დეტროიტში გაატარებს.

პისტონსი ზაზას მე-6 კლუბი იქნება ნბა-ში. ფაჩულია ყველაზე ძლიერ საკალათბურთო ლიგაში 2003 წელს მივიდა და პირველი სეზონი ორლანდო მეჯიქში გაატარა. მას მერე ზაზამ 1 წელი მილუოკიში ითამაშა, 8 სეზონი ატლანტა ჰოუქსში გაატარა, 2 წელი ისევ მილუოკიში დაბრუნდა, შემდეგი 1 წელი დალასის მაისური მოირგო, ხოლო ბოლო 2 წელი გოლდენ სტეიტში ითამაშა, სადაც ორივეჯერ ჩემპიონი გახდა.

ნბა-ში 15-წლიანი გამოცდილების მქონე ქართველი კალათბურთელი მომდევნო სეზონს ახალი გამოწვევით შეხვდება.

ქართველ გულშემატკივრებს ტყუილად ნუ გვექნება ილუზია, რომ ზაზა ბევრ წუთს გაატარებს მოედანზე. ჩვენებური უკვე ვეტერანია და გუნდში ძირითადად, მენტორის როლი ექნება.

პისტონსის ძირითად ცენტრს, ანდრე დრამონდს სასტარტოდან ვერ ამოაგდებს, მაგრამ ასაკის გამო (24 წლის), დრამონდს ჯერ კიდევ სჭირდება გამოცდილი კალათბურთელი, ზაზა კი ამ საქმისთვის იდეალური პერსონაა. ეს ორი სტილითაც ჰგავს ერთმანეთს, ორივე მძიმე და ფარქვეშ მოთამაშე, მოხსნაზე ორიენტირებული კალათბურთელია. ასევე, ანდრეს აუცილებლად სჭირდება გარკვეული გაკვეთილები 3-წამიან ზონაში დაცვის სათამაშოდ, რაც ფაჩულიას ნამდვილად არ ეშლება.

ზაზას როლი კვლავ არ იქნება შემტევი სტილი და ისევ თანაგუნდელებს დაეხმარება ბლოკების დაყენებითა და ჭკვიანური, გუნდური თამაშით.

პისტონსს კიდევ ერთი ცენტრი ჰყავს, უილი რიდი, ამიტომ დრამონდის გარეშე ცენტრის პოზიციაზე სათამაშო დრო, დაახლოებით 12-16 წუთი, თითქმის თანაბრად გაიყოფა რიდსა და ფაჩულიას შორის.

არცთუ ძლიერი ტობოლი სამტრედიელთა რთული მეტოქეა

ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სამტრედია ყაზახეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსან ტობოლს დაუპირისპირდება, რომელიც შარშან მე-5 ადგილზე გავიდა. წესით, ევროპალიგაზე თამაში არ ეკუთვნოდა, მაგრამ ორდაბასი ჩაანაცვლა, რომელმაც სავალდებულო ლიცენზია ვერ გაიარა.

ახალი ამბავი არ არის, რომ ამ კლუბში საქართველოს ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა და ნახევარმცველი ნიკა კვეკვესკირი თამაშობენ. ეს კი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მეტოქეზე, რომელსაც საკმაოდ მაღალი სახელფასო ფონდი აქვს.

კლუბი 1967 წელს დაარსდა და ჩემპიონობა ერთადერთხელ, 2010 წელს მოიპოვა. ბოლოს კლუბმა ევროთასებზე 2011-12 წლების სეზონში იასპარეზა და შეჯიბრს მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოეთიშა.

ტობოლი ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ კოშტანაის გუნდია, სადაც 231.906 ადამიანი ცხოვრობს და მოსახლეობის უმეტესობა რუსია. ქალაქის ცენტრალური სტადიონი 9.500 ადამიანს იტევს.

კლუბის ფეხბურთელების სატრანსფერო ღირებულება 9.65 მილიონი ევროა, როცა სამტრედიის ღირებულება 2.83 მილიონია. ყაზახურ გუნდში 8 ლეგიონერი თამაშობს.

გუნდის მთავარი მწვრთნელი ყაზახი ვლადიმირ ნიკიტენკოა, რომელიც წლების განმავლობაში სხვადასხვა ყაზახურ გუნდს წვრთნიდა.

ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელები ქართველები არიან: ჯაბა კანკავა მილიონ ევროდ არის შეფასებული, ხოლო ნიკა კვეკვესკირი – 750.000 ევროდ.

კლუბის მეკარე უკრაინელი დმიტრი ნეპოგოდოვია, რომელმაც 17 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 14 გოლი გაუშვა.

საერთო ჯამში, მეტოქე ძლიერია, მაგრამ დაუძლეველ ბარიერს არ წარმოადგენს. თუმცა სამტრედიის მდგომარეობა ნაკლებად საიმედოა, რის გამოც დღევანდელი შემადგენლობით უშანსოდ გამოიყურება. მაგრამ იმერული კლუბი გაძლიერებას ცდილობს და ვნახოთ, რა გამოვა.

ტორპედოს მეტოქე მოლდოვას რეკორდსმენია

დღეს, ქუთაისის ტორპედო ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოლდოვას ჩემპიონს, ტირასპოლის შერიფს დაუპირისპირდება. თითქოს იოლად გადასალახი ბარიერია, მაგრამ როდესაც შერიფს უკეთ გაეცნობით, მიხვდებით, რომ ასე არ არის და მოლდოვურ კლუბამდე ბევრი გვიკლია.

შერიფი 1997 წლის 4 აპრილს დაფუძნდა. საშინაო მატჩებს სპორტკომპლექს შერიფში ატარებს, რომელიც 2002 წელს გაიხსნა. შერიფის საშინაო არენა მოლდოვის ყველაზე დიდ სტადიონად ითვლება და 12.746 გულშემატკივარს იტევს.

შერიფი ყველაზე ტიტულოვანი მოლდავური კლუბია. 21-წლიანი ისტორიის მანძილზე 16-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, 9-ჯერ მოიგო ქვეყნის თასი, 7-ჯერ – სუპერთასი. ამის გარდა, პირველი მოლდოვური კლუბია, ვინც ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა.

2016 წლის ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში, შერიფმა ავსტრალიელი მცველი ენტონი გოლეცი, მოლდაველი მცველი კონსტანტინ ბოგდანი, ნახევარმცველები არტულ პატრაში, ჟო, გორან გალეშიჩი, ბრუნო პელისარი და ხორვატი ფორვარდი იოსიფ ივანჩიჩი დაიმატა. იანვარში შერიფი ორმა ლიდერმა, რიკარდინიომ და ჟუნინიო პოტიგუარმა დატოვეს. პირველმა შერიფის მაისურით 105 მატჩი ჩაატარა, 43 გოლი გაიტანა და 19 საგოლე პასიც მიითვალა. პოტიგუარი კი, შერიფის ფეხბურთელი 2 სეზონის განმავლობაში იყო, 65 მატჩი ითამაშა, 32 გოლი გაიტანა და 11 საგოლე გადაცემა მიითვალა.

ჩემპიონატის ბოლოს, შერიფსა და დაჩიას თანაბარი, 65-65 ქულა დაუგროვდათ და პირველ ადგილზე იყვნენ. მოლდოვას ჩემპიონატის რეგლამენტის თანახმად, დამატებითი შეხვედრა, „ოქროს მატჩი“ დაინიშნა და შერიფმა 1:0 მოიგო, გოლი გორან გალეშიჩმა გაიტანა.

2016 წლის ივნისში შერიფი მთავარმა მწვრთნელმა, ზორან ვულიჩმა დატოვა. ახალ მწვრთნელად ფრანგი ბრუნო ირლესი დაინიშნა, რომლისთვისაც მთავარი მწვრთნელის რანგში ეს პირველი კლუბი იყო.

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში, შერიფი ისრაელის წარმომადგენელ ჰაპოელთან დამარცხდა – 2:3. აღსანიშნავია, რომ მოლდაველთა კარში ესპანელმა მსაჯმა 3 პენალტი დანიშნა, საიდანაც 1 მეკარემ, ბოჟიდარ მიტრევმა მოიგერია. საპასუხო შეხვედრა 0:0 დასრულდა. შედეგად, შერიფი ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა.

აგვისტოში შერიფმა ქვეყნის სუპერთასი მეშვიდედ მოიგო, სადაც ბელცკის ზარია 3:1 დაამარცხა. სექტემბერში ბრუნო ირლესმა კლუბი დატოვა და მთავარ მწვრთნელად იტალიელი რობერტო ბორდინი დაინიშნა.

ზედიზედ მეორედ, შერიფსა და დაჩიას თანაბარი ქულები დაუგროვდათ და ჩემპიონის გამოსავლენად, კვლავ „ოქროს მატჩი“ დაინიშნა. პენალტების სერიაში მაშინ შერიფმა იმარჯვა და ქვეყნის ჩემპიონობა მეთხუთმეტედ იზეიმა. იმავე წელს, თასის ფინალში შერიფმა ზარიას 5:0 მოუგო და დუბლი გაიფორმა.

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, შერიფი ალბანურ კუკეშს დაუპირისპირდა. შინ ზიგი ბადიბანგას პენალტით 1:0 მოიგეს, სტუმრად 1:2 დამარცხდნენ და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ. მესამე ეტაპზე შერიფი ყარაბაღს შეხვდა. ბაქოში გამართული მატჩი უგოლო ფრით დასრულდა, შინ კი შერიფმა 1:2 წააგო და ევროპალიგის პლეი-ოფში გადაინაცვლა, სადაც მეტოქედ პოლონური ლეგია ერგო. სტუმრად 1:1, შინ – 0:0 და შერიფი ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზეა!

ევროპალიგაზე ტორპედოს დღევანდელი მეტო იმ ჯგუფში მოხვდა, სადაც რუსული ლოკომოტივი, დანიური კოპენჰაგენი და ჩეხური ზლინი იყვნენ. პირველ ტურში მოლდაველები სტუმრად ზლინს დაუპირისპირდნენ. მატჩი უგოლოდ დასრულდა. მეორე ტური შინ კოპენჰაგენთან ასევე უგოლოდ დასრულდა. მესამე მატჩი სტუმრად ლოკომოტივთან – ისევ ფრე, ამჯერად 1:1. გოლი ზიგი ბადიბანგამ გაიტანა. მოსკოვში გამართულ მატჩში მე-4 ტურში შერიფმა მოიგო – 2:1. არადა, აგებდა, მაგრამ ბადიბანგამ ანგარიში გაათანაბრა, გამარჯვების გოლი კი იოსიფ ბრეზოვეცმა გაიტანა. ეს მატჩი შერიფის ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი მატჩი, რომელშიც მოლდაველებმა ევროტურნირებზე სტუმრად გამარჯვება მოიპოვეს და როგორც შერიფის მე-100 მატჩი ევროტურნირებზე.

მეხუთე ტურში შერიფი შინ „ზლინას“ დაუპირისპირდა და ჟაირო და სილვას გოლით 1:0 მოიგო. ბოლოს კი სტუმრად წააგო კოპენჰაგენთან. ჯამში, შერიფმა თავისთვის რეკორდული 9 ქულა დააგროვა და მესამე ადგილზე გავიდა. კოპენჰაგენს ასევე 9 ქულა დაუგროვდა, მაგრამ ურთიერთშეხვედრების ხარჯზე, ჯგუფიდან სწორედ დანიური კლუბი გავიდა. ამას ისევ ქვეყნის ჩემპიონობა მოყვა.

ჯგუფში ჩარჩენის შემდეგ, შერიფიდან 10 ფეხბურთელი წავიდა, 12 მივიდა. 2018 წელს გუნდში ხორვატი მცველი დომინიკ კობაჩიჩი, თავდამსხმელი ალხაჯი კამარა, ახალგაზრდა ფორვარდი აბდულ გაფარ სირიმა, ლუქსემბურგის ნაკრების შემტევი ჟერსონ როდრიგესი მივიდნენ. იჯარით დაიმატეს სომეხი ნახევარმცველი არას ოზბილიზიც. კონტრაქტი გააფორმეს ხორვატმა მეკარემ ზვონიმირ მიკულიჩმა, ბელარუსმა ნახევარმცველმა იური კენდიშმა და ბრაზილიელმა მცველმა კრისტიანო და სილვამ. ასევე გუნდს დაუბრუნდა სერგეი პაშენკო.

2018 წლის 24 აპრილს ოჯახური პრობლემების გამო, მთავარი მწვრთნელის თანამდებობა რობერტო ბორდინმა დატოვა. მის ნაცვლად მთავარ მწვრთნელად ხორვატი გორან საბლიჩი დაინიშნა.

შერიფის დირექტორი ქართველი ვაჟა თარხნიშვილია, რომელიც ამავე კლუბის ლეგენდად ითვლება. თარხნიშვილმა 1999 წლიდან 2012 ჩათვლით ითამაშა შერიფში და ამ კლუბს კაპიტნობდა კიდეც.

კლუბის სატრანსფერო ღირებულება 9,36 მლნ. ევროს შეადგენს.

მიმდინარე სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი 6 გოლით ალჰაჯი კამარაა, 4-4 გოლი კი ვიტალი დამასკანისა და ევგენი ოანჩას ანგარიშზეა. სადღეისოდ, მოლდოვურ გუნდში 15 ლეგიონერი თამაშობს.

ვიდა დისკვალიფიკაციას გადაურჩა

სლავა უკრაინე – ამ სიტყვებით აღნიშნა ხორვატიის ნაკრების მცველმა დომაგოი ვიდამ რუსეთთან გამარჯვება.

29 წლის ვიდამ, რომელიც კიევის დინამოში 4 წლის მანძილზე, 2017 წლამდე თამაშობდა, რუსებთან გამარჯვება უკრაინელ მეგობრებსა და ყოფილ თანაგუნდელებს ოგნიენ ვუკოევიჩთან ერთად მიუძღვნა.

გამოითქვა ვარაუდი, რომ ვიდას ამის გამო დასჯიდნენ, მაგრამ ფიფა მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლა. მსგავსი კომენტარის გამეორების შემთხვევაში ვიდას დისკვალიფიკაცია ან სხვა სახის სანქცია ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ ხორვატიამ რუსეთი პენალტების სერიაში დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა. ვიდამ თამაშშიც შეძლო გოლის გატანა და თერთმეტმეტრიანიც ზუსტად შეასრულა, რის გამოც მატჩის ერთ-ერთი გმირი გახდა.

დავით ვოლკოვი: „რიგით გოლებს საჩემპიონო გოლი მირჩევნია“

სუპერლიგის მიმდინარე სეზონში საბურთალოს ფეხბურთელმა დავით ვოლკოვმა ტრავმა ორჯერ მიიღო და 23 წლის შემტევს იძულებით დიდი დრო გაუცდა. თუმცა, 4 გოლის გატანა მაინც შეძლო.

ვოლკოვი თავიდან გაგრას ფეხბურთელი იყო, საიდანაც თბილისის დინამოში გადავიდა, მაგრამ გუნდმა ჯერ საჩხერის ჩიხურა გაანათხოვრა, შემდეგ ბოლნისის სიონში. ვოლკოვმა ორივეგან კარგი სეზონი ჩაატარა. წარმატებული სეზონების შემდეგ მისი კარიერა სერბეთის პირველი ლიგის კლუბ ზემუნში გაგრძელდა. 2017 წლის ზამთარში გადასულმა ვოლკოვმა სერბეთში ნახევარი წელი გაატარა, ერთი მატჩი ჩაატარა და გოლიც გაიტანა. ზაფხულში საბურთალომ მისი გადაბირება გადაწყვიტა და არც უნანია – ვოლკოვი ჩემპიონატის ლიდერის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია.

– მიმდინარე სეზონში ტრავმებმა ძალიან შეგაწუხა.

– ახლა ფეხი საერთოდ არ მაწუხებს და კარგად ვგრძნობ თავს, თუმცა ისე მოხდა, რომ სეზონის დაწყებიდან ორჯერ იძულებით მომიწია დასვენება. ორივე ტრავმა ერთი და იგივე ადგილას მქონდა. ჩვენი ექიმების დიდი დამსახურებაა, რომ ახლა ჯანმრთელად ვარ და შემიძლია ფეხბურთის თამაში.

– საინტერესოა თქვენი მოსაზრება საბურთალოს თამაშსა და შედეგზე – გუნდი დამაჯერებლად ლიდერობს ეროვნულ ლიგას.

– შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან უშუალო კონკურენტ დინამოს 5 ქულით ვუსწრებთ, თუმცა ამ ფაქტორმა არ უნდა მოგვადუნოს. გასულ წელს ზუსტად ამ დროს პირველ ადგილზე მყოფი დინამო ბევრად დიდი სხვაობით უგებდა ტორპედოს, მაგრამ ჩემპიონობა ქუთაისელებმა მოიპოვეს. აქედან გამომდინარე, სხვაობა ძალიან მინიმალურია, თუმცა რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ ვლიდერობთ ჩემპიონატს. რაც შეეხება თამაშის ხარისხს – ბოლო დროს ისეთ ფეხბურთს ვერ ვთამაშობთ, როგორიც გვჩვევია. კლუბში კარგი შემადგენლობაა თავმოყრილი და ვფიქრობ, უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია. ძალიან ბევრი გვაქვს სამუშაო და გასაკეთებელი.

– როგორ ფიქრობთ, მზად არის საბურთალო, ჩემპიონობისთვის რომ იბრძოლოს?

– საბურთალო მეოთხე სეზონია, რაც უძლიერესთა რიგებში ასპარეზობს. კლუბი ეტაპობრივად იზრდება და ვითარდება, ეს თვალშისაცემია. გუნდი ყოველწლიურად აუმჯობესებს შედეგს, ძლიერდება და გამოცდილებას იძენს. ასეთ დროს, როდესაც გუნდი ნახევარი სეზონის დასრულების შემდეგ, ცხრილის სათავეში იმყოფება, რატომ არ უნდა შეეძლოს ჩემპიონობა? შეგვიძლია ჩემპიონობა და ამის კარგი შანსი გვაქვს.

ვინც ჩახედულია ქართულ ფეხბურთში და სისტემატურად ადევნებს თვალს ეროვნულ პირველობას, ინფორმირებული იქნება, თუ როგორ ფეხბურთს თამაშობს საბურთალო, თუ როგორი მიდგომა აქვთ კლუბის ხელმძღვანელებს ფეხბურთისადმი. ქართულ ფეხბურთში ჩახედულ ადამიანებს, არა მგონია, გაუკვირდეთ ჩვენი წარმატება.

– წლეულს 4 გოლი გაიტანეთ, 2 სეზონში კი, საბურთალოს მაისურით 14 გოლი დაგიგროვდათ.

– ბოლო 2 ტურში 2 გოლი გავიტანე, რამაც ძალიან გამახარა. მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოვიპოვეთ და მიხარია, რომ ამ წარმატებაში მოკრძალებული წვლილი შევიტანე. ველოდები და მინდა ისეთი ბურთი გავიტანო, საჩემპიონო იყოს.

– გასულ წელს, როდესაც საბურთალო მეოთხე ადგილზე გავიდა, 60 ქულა დააგროვა. ახლა, როდესაც სეზონის ჯერ მხოლოდ ნახევარი მიიღია, გუნდის აქტივში 43 ქულაა. რის ხარჯზე?

– ფეხბურთელები, მწვრთნელები, ხელმძღვანელები – ყველა ერთი საქმისთვისაა გაერთიანებული. ამავდროულად, სწორი მუშაობის შედეგია საბურთალოს წინსვლა და პროგრესი. გუნდს გამოცდილება დაუგროვდა. წლეულს რომ მატჩები მოვიგეთ, ასეთი შეხვედრების მოგებას გასულ წელს ვერ ვახერხებდით.

– კარიერის გაგრძელება უცხოეთში შეგეძლოთ, მაგრამ საბურთალოში დარჩენა ამჯობინეთ.

– დიახ, იყო იმის შესაძლებლობა, რომ ევროპაში მეთამაშა, მაგრამ ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადავდგი. საბურთალოში მოსვლის დღიდან კომფორტულად ვიგრძენი თავი და ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

– ეროვნულ ლიგაში რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?

– რამდენიმეს გამოყოფა შემიძლია, მაგრამ ჩვენი გუნდის მეკარე ლაზარე კუპატაძე საუკეთესოა. ლაზარეს ყველანაირი მონაცემები აქვს, რომ მაღალ დონეზე ითამაშოს. ვფიქრობ, რომ ის დღეც მალე დადგება, როდესაც ეროვნული ნაკრების ღირსებას დაიცავს.

სასიძო ჭექა-ქუხილმა შეაშინა და საპატარძლომ ქორწილი გადადო

ინდოელმა გოგონამ უარი განაცხადა ჭექა-ქუხილის დროს საქორწინო ცერემონიის გამართვაზე, ვინაიდან მის საქმროს აღნიშნული ბუნებრივი მოვლენის შეეშინდა.

ინციდენტი ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში, ბიხარის შტატში მოხდა. საპატარძლომ კატეგორიული უარი განაცხადა გათხოვებაზე მას შემდეგ, რაც მისმა რჩეულმა უცნაურად დაიწყო ქცევა საქორწინო ფიცის წარმოთქმის დროს. იმ მომენტში სასიძომ შენიშნა, თუ როგორ ჩამოვარდა მეხი შორიახლოს მდებარე მინდორში.

სასიძოს ნათესავებმა ამის გამო ხმაურიანი პროტესტი გამოთქვეს, ვინაიდან ღვთისმსახურს უკვე ჰქონდა ჩატარებული რამდენიმე საქორწინო რიტუალი. ამის გამო მათ პატარძლის ნათესავები დაესხნენ თავს და ყველაფერი სასტიკი მასობრივი ჩხუბით დასრულდა.

აღნიშნული ინციდენტის შედეგად საპატარძლოს სამი ნათესავი იქნა დაპატიმრებული.

ზოგი ჭირი მარგებელია – აშშ-ს ტერიტორია გაეზარდა

ამერიკის ჰავაის შტატში შემავალი უდიდესი კუნძული გაიზარდა. მისმა ფართობმა ორ კვადრატულ მეტრზე მეტი შეადგინა და ამის მიზეზი ვულკან კილაუეადან

გამომდინარე ცხელი ლავის მასები გახდა, რომლებიც ოკეანეში ჩაიღვარა. ამ ინფორმაციას აშშ-ის გეოლოგიური სამსახური ტვიტერში საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

– ოკეანეში ჩაღვრის შედეგად ლავამ 555 აკრი (2,25 კვადრატული კილომეტრი) ახალი მიწა შექმნა, – აღნიშნა გეოლოგიურმა სამსახურმა.

ღია უნივერსიტეტის პროფესორმა დევიდ როტერმა აღნიშნა, რომ ახალი მიწის ნაწილი დროთა განმავლობაში ოკეანეში ჩავარდება. ასე რომ, სავარაუდოდ, კუნძულის ფართობი დიდად არ გაზრდილა.

კილაუეას ამოფრქვევა 3 მაისს დაიწყო. ვულკანური აქტივობის შედეგად დაახლოებით 650 სახლი განადგურდა, ორი ათასზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პაულინიო ჩინეთში დაბრუნდება

ბარსელონას ბრაზილიელი ფეხბურთელი პაულინიო თავის ყოფილ გუნდში გუანჯოუ ევერგრანდში დაბრუნდება იჯარის წესით. ეს ინფორმაცია ბარსელონამ ოფიციალურად დაადასტურა და პაულინიო რამდენიმე დღეში ჩინეთში ჩაფრინდება.

ეს ტრანსფერი საკმაოდ უცნაურია, რადგან პაულინიომ გასული სეზონი კარგად ჩაატარა და ესპანეთის ჩემპიონატში 9 გოლის გატანაც შეძლო. პაულინიო ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო და ის ბარსელონას ხშირად ეხმარებოდა გამარჯვების მოპოვებაში. პაულინიოში ბარსელონამ შარშან 40 მილიონი ევრო გადაიხადა.

ანხელ დი მარია შესაძლოა ნაპოლიში გადავიდეს

პსჟ-ს არგენტინელი ნახევარმცველი ანხელ დი მარია შესაძლოა ნაპოლის ფეხბურთელი გახდეს. დი მარია არ მალავს იმ ფაქტს, რომ მას პსჟ-დან წასვლა სურს, რადგან იქ ანხელი არ არის ძირითადი შემადგენლობის სტაბილური ფეხბურთელი.

რაც შეეხება ნაპოლის, დი მარიას იქ გაცილებით მეტი შანსი აქვს, რომ მოედანზე ხშირად გამოვიდეს. ნაპოლი მზად არის, ამ ტრანსფერში 30 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა პსჟ სავარაუდოდ ამ თანხით არ დაკმაყოფილდება.

ანხელ დი მარია პსჟ-ში 2015 წელს გადავიდა და მას შემდეგ მან გუნდის შემადგენლობაში 187 მატჩი ჩაატარა.

პსჟ კოუტინიოში 270 მილიონს იხდის



პსჟ ბარსელონას ფეხბურთელებს არ ეშვება და ამჯერად პარიზულმა გუნდმა თვალი ფელიპე კოუტინიოს დაადგა, რომელიც ბარსელონაში შარშან გადავიდა. პსჟ მზად არის, კოუტინიოს ტრანსფერში 270 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა ბრაზილიელის სატრანსფერო ფასი 400 მილიონი ევროა და ამდენს სავარაუდოდ პსჟ-ც კი ვერ გაწვდება.

გარდა ამისა, კოუტინიომ განაცხადა, რომ ბარსელონაში ძალიან ბედნიერია და არ აპირებს სხვა გუნდში გადასვლას.

შეგახსენებთ, რომ შარშან პსჟ-მ ბარსელონას ნეიმარი წაართვა და მასში 222 მილიონი ევრო გადაიხადა.

სტანისლავ ჩერჩესოვი: „პუტინმა დამირეკა და გამამხნევა“



რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სტანისლავ ჩერჩესოვმა ხორვატიასთან მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ მას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დაურეკა და გაამხნევა.

– პუტინის ზარი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მისი სიტყვების შემდეგ უფრო მეტი მოტივაცია გამიჩნდა, რომ ვიმუშაო და მომავალში კიდევ უფრო მეტ წარმატებას მივაღწიო რუსეთის ნაკრებთან ერთად. ვთვლი, რომ მსოფლიო ჩემპიონატი რუსეთმა კარგად ჩაატარა, – განაცხადა სტანისლავ ჩერჩესოვმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ესპანეთის ნაკრების თავკაცად ლუის ენრიკეს მოიაზრებენ

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ ესპანეთის ნაკრები ახალი მთავარი მწვრთნელი ბარსელონას ყოფილი თავკაცი ლუის ენრიკე იქნება.

ცნობილია, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებებს ასევე მართავდა ესპანიოლის თავკაც კიკე სანჩეს ფლორესსა და ბელგიის ნაკრების მწვრთნელ რობერტო მარტინესთან. სახელდებოდნენ სხვა კანდიდატებიც.

პირინეული მედიის ცნობით, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ უკვე მიაღწია შეთანხმებას 48 წლის სპეციალისტთან. მწვრთნელს ორწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ, მისი მთავარი ამოცანა კი ნაკრების ევრო 2020-ზე გაყვანა და ტურნირზე წარმატებით გამოსვლა იქნება.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე ზედმსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის დაწყების წინ დარჩა, როდესაც თანამდებობიდან ხულიენ ლოპეტეგი დაითხოვეს. ესპანელებმა მის ნაცვლად გუნდი დროებით ფერნანდო იეროს ჩააბარეს, რომლის ხელმძღვანელობით ნაკრებმა მუნდიალზე ასპარეზობა მერვედფინალში დაასრულა.

ლუის ენრიკე ბარსელონას 2014-17 წლებში წვრთნიდა. მისი ხელმძღვანელობით კატალონიელებმა ესპანეთის ჩემპიონატი 2-ჯერ, 3-ჯერ თასი და სუპერთასი მოიგეს, 2014-15 წლებში კი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულები გახდნენ.

მადრიდის რეალისა და ბარსელონას ყოფილ ფეხბურთელს, რომელსაც ესპანეთის ნაკრებში ჩატარებულ 62 მატჩში 12 გოლი გაუტანია, მწვრთნელად ასევე უმუშავია რომასა და სელტაში.

16 წლამდე ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა

საქართველოს 16 წლამდე გოგონათა ნაკრები ბრინჯაოს მედლების მფლობელია. მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონის მე-3 ადგილისთვის მატჩში ნინო ყიფშიძისა და შოთა იაქაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში, 1 ქულის სხვაობით დაამარცხა მასპინძლები და საპრიზო ადგილი დაიკავა.

ქართველებმა მოლდოველები ბოლო წამებზე, ნინო გადელიას ზუსტი ტყორცნის შედეგად 51:50 დაამარცხეს. საქართველოს ნაკრები პირველი ნახევრის შემდეგ 3 ქულით – 27:30 ჩამორჩებოდა, თუმცა შესვენებაზე შეძლო მობილიზება და მძლავრად ჩატარებული მე-3 პერიოდის შემდეგ 8 ქულით გალიდერდა.

მასპინძლებმა ბოლო მეოთხედში მოახერხეს ჩამორჩენის აღმოფხვრა და დაწინაურდნენ კიდეც. ბოლო წუთზე მოლდოველები 50:48 იგებდნენ და ბურთსაც ფლობდნენ, თუმცა კარგი დაცვით მოპოვებული შეტევა ქეთი დანელაშვილმა ერთი ზუსტი საჯარიმოთი დაასრულა. მოლდოველებმა წუთშესვენება აიღეს, თუმცა გვერდიდან შემოტანილი ბურთი მათ თამარ პაპუაშვილმა ჩაუჭრა. საფინალო სირენამდე 5 წამით ადრე, ნინო გადელიამ მარიამ დიდბარიძის ზუსტი პასით გამარჯვების ორქულიანი ჩააგდო.

დანელაშვილმა 18 ქულა, 15 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. დანელაშვილის მსგავსად ორმაგი დუბლი შეასრულა გადელიამ, რომელმაც 18 ქულა, 10 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. 10 ქულა და 8 მოხსნა თამარ პაპუაშვილის ანგარიშზეა, ხოლო ხატია ქებურიამ შეხვედრა 5 ქულით, 11 მოხსნით და 3 პასით დაასრულა.

ნინო გადელია, რომელიც ტურნირზე ჩატარებული 5 მატჩში საშუალოდ 17 ქულას აგროვებდა, ორგანიზატორებმა სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანეს. საქართველოს ნაკრების კალათბურთელები კი, ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ.

ჩემპიონი გახდა ავსტრია, რომელმაც ფინალური მატჩი შოტლანდიას 69:48 მოუგო. პეტარ ობრადოვიჩთან და მარტინ ვულიჩთან ერთად ფინალურ შეხვედრას ქართველი არბიტრი, მაკა კუპატაძე მოემსახურა.

მოამზადა მინეილ ყორყოლიანმა

ასტროპრომნოზი
10 ივლისისთვის

ვერძი – მოემზადეთ სასიკეთო ცვლილებებისათვის. მხოლოდ საკუთარი გულის კარნახით იმოქმედეთ. **კურო** – იღბლიანი დღეა შემოქმედებითი აქტიურობისათვის. წინაალმდეგობების დაძლევა არ გიჭირთ. **ტყუპები** – საკმაოდ დაძაბული, მაგრამ ნაყოფიერი და შემოქმედებითად დატვირთული დღეა. საქმიანი კონტაქტები გაამართლებს. **კირჩხიბი** – შინაგანი თავისუფლება საშუალებას გაძლევთ, ნებისმიერ სფეროში საკუთარი სათქმელი თქვათ. იზრდება სასიცოცხლო პოტენციალი. **ლომი** – ჩანაფიქრის რეალიზებაში კოლექტიური მუშაობა დიდ როლს შეასრულებს. დღის დევიზია კეთილგონიერება და წინდახედულობა. **ქალწული** – ემოციური აღმავლობის დღეა. მონახეთ ოქროს შუალედი. ნუ გადაიღლებით. **სასწორი** – იაქტიურეთ, მაგრამ ზღვარს ნუ გადახვალთ. იყავით კორექტული. **ღრიანკალი** – ცოტა ხნით საქმეებს მოსწყდით და დასვენებაზე იფიქრეთ. ჯანმრთელობას მეტი დრო დაუთმეთ. **მშვილდოსანი** – ქედმაღლობა, ტრაბახი და საკუთარი თავით აღფრთოვანება არ გარგებთ. ჩანაფიქრს მარტივად განახორციელებთ. **თხის რქა** – რთული დღეა. საქმე არც ისე იოლად მოსაგვარებელია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. შორსმჭვრეტელობა გმართებთ. **მერწყული** – მოსალოდნელია მცირედი იმედგაცრუება. თუმცა პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობას ავლენენ. **თევზები** – იოლად არავის მიენდოთ. დღეს თქვენი მოტყუება ადვილია. ფხიზლად იყავით და ბუნების წიაღში დაისვენეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი 2



შვეულად: 1. ესპანეთში მოთამაშე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრი; 2. ეთერზეთოვანი მცენარე, სურნელოვანი ყვავილი; 3. უფროსი მღვდელი ქართულ ეკლესიაში; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 7. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 12. სხვადასხვა ქანისა და მინერალის ფხვიერი შენაერთი; 14. ფულის გამოძალვა; 15. პოლონეთის ძველი დედაქალაქი; 17. ნიჟარაში ბინადარი რბილსხეულიანი ცხოველი; 20. ოპერა „ფალსტაფის“ კომპოზიტორი.

თარაზულად: 5. კამერული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 6. ქართველი მოდელიორი ქალი; 8. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 10. ვალის გადახდის უნარმოკლებული, გაკოტრებული პირი; 11. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 13. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 16. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 18. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი; 19. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 21. საკვები პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 22. ძველბერძენი დრამატურგი, ტრაგედია „მედეას“ ავტორი; 23. სპორტული თამაში სპეციალური ხის ჯოხებითა და ბურთით.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. მაჭახელა; 6. ბუნიაობა; 10. მეტეხი; 11. რომესა; 12. რეფერენდუმი; 17. სათბობი; 18. კარკასი; 19. ტარხუნა; 20. ჯამაგირი.

შვეულად: 1. კამათელი; 2. თეზისი; 3. ონავარი; 4. ობელისკი; 7. სეფარდები; 8. მარმელადი; 9. ომონიმიკა; 13. სპასპეტი; 14. მესტვირე; 15. შინიონი; 16. ყაზარმა.

სკანვორდის პასუხები:

1. პავიანი; 2. ანსი; 3. ანდანტე; 4. კაბა; 5. კაენი; 6. იდიია; 7. ლიკანი; 8. ას; 9. პანტა; 10. პრადო; 11. არტისტი; 12. პარტია; 13. ოტელი; 14. სარდინია; 15. პელიკანი; 16. აპისი; 17. ატლასი; 18. ხიდი; 19. ობელისკი; 20. დარიკო; 21. ფასი; 22. აბსენთი; 23. ლივ; 24. სანტა; 25. ბალასტი; 26. პიერ; 27. სი; 28. პინგვინი; 29. ნუგა; 30. მარანი; 31. კაპრონი.

სურათებზე: ფანი არდანი; ხაბი ალონსო.

ნიაზ დიასამიძე რესტორნებში გაჭირვებულებისთვის საჭმლის შეკვეთის ინიციატივით გამოდის



მომღერალი ნიაზ დიასამიძე თანამემამულეებს ახალ ინიციატივას აცნობს. ის მოუწოდებს რიგით მოქალაქეებს, რომ რესტორნებში გაჭირვებულებისთვის საჭმელი შეუკვეთონ:

– ამდენ ადამიანს ესაჭიროება ნორმალური კვება და ამავე დროს რამდენი „საჭმელი“ რჩება ყოველდღე ათასობით სუფრაზე ჩვენს ქვეყანაში?! აშკარად შეცდომაა!

პ.ს. ვინც სკოლაში აღარ ვივლით... თავად ვისწავლოთ! თავშეკავება! და ის, მინიმუმ ნახევარი, რაც რჩება, კი არ დავტოვოთ, შევუკვეთოთ, ოღონდ სხვისთვის! მათთვის, ვისაც არ აქვს! შემოვიღოთ ეს ტრადიცია... გავანაწილოთ ამ ადამიანების მისამართები ქვეყნის ყველა რესტორნის მენიუებში!

ტექნიკური დეტალები მენეჯერებმა მოიფიქრეთ. ძმობა! სოლიდარობა! თავისუფლება! როგორ განვახორციელოთ? ეს იდეა... ვგულისხმობ რესტორანში სხვისთვის შეკვეთის ამბავს. ფაქტია, რომ ამ საკითხში ერთსულოვნება არსებობს. ესე იგი გამოგვივა! მნიშვნელოვანია ის, რომ შეუკვეთოთ სხვისთვის და არა ნარჩენი მივუტანოთ. განხორციელების დეტალებზე რომ ვფიქრობ, არის საკითხები, რომელსაც ვერ ვალაგებ. მაგრამ კარგი მენეჯერები თუ შეიკრიბებიან და იმსჯელებენ, მგონი მოხერხდება ეს ამბავი.

ვცადოთ! პ.ს. როგორც მოსალოდნელი იყო, რამდენიმე ქვეყანაში არის ამის მაგალითები. რაც ამბობს იმას, რომ ეს შესაძლებელია. „რასაცა გასცემ შენია!“

დემნა გვასალიას კოლექციის საყიდლად მსურველებმა რიგი 15 საათით ადრე დაიკავეს

დემნა გვასალიას კოლექციები გამოსვლიდან ელვის სისწრაფით იყიდება.

ქართველი დიზაინერის ბრენდის „ვეტემენტსის“ კოლექციებს ათასობით ადამიანი მოიხმარს. ბრენდის კომერციულ საქმიანობას დემნას ძმა, გურამ გვასალია უძღვება. სწორედ მან გაავრცელა ინფორმაცია, რომ „ვეტემენტსის“ სამოსის შესაძენად მსურველებმა რიგი 15 საათით ადრე დაიკავეს.

გურამ გვასალია:

– ჩემი ყველა კორეელი მეგობარი დამცინოდა, როცა კორეაში გაყიდვების ქალაქგარეთ მოწყობა გადავწყვიტე. სიცილით მეუბნებოდნენ: „ტანსაცმლის საყიდლად სეულიდან საათნახევრის გზაზე არავინ მოვა!“ მაგრამ ხალხი გაყიდვების დაწყებამდე 15 საათით ადრე მოვიდა. 6000 დოლარიანი ზედებით მიწაზე ეძინათ, რომ რიგი დაეკავებინათ. კოლექცია 20 წუთში სრულად გაიყიდა.

ალექსანდრე ზაზარაშვილმა იტალიაში საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა

„ნიჭიერისა“ და „რანინას“ მონაწილემ ალექსანდრე ზაზარაშვილმა იტალიაში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე „მომავლის ვარსკვლავი“ პირველი ადგილი მოიპოვა.

პირველ ადგილთან ერთად მას გადაეცა ერთწლიანი სტიპენდია და ოპერის დისკები, რომლებიც საქართველოში არ იშოვება.

ალექსანდრე ზაზარაშვილი:

– ქართველო ხალხო, გილოცავთ გამარჯვებას ჩემი სახით, მიყვარხართ ყველა. „ჩვენ გავიმარჯვეთ“ – პირველი ადგილი ჩვენია, ასეთ ადგილას და ქალაქში სიმღერა რამდენად გასაოცარია და შემდეგ გამარჯვება.

მიყვარხართ ყველა, ვისაც კი გაგიხარდათ ჩემი წარმატება. უდიდესი მადლობა ქარელს დაფინანსებისთვის, ყველას მადლობა, გორს მადლობა, იმ ადამიანს, ვინც ერთი პატარა წვილი შეიტანა ჩემს გამარჯვებაში იტალიაში „მომავლის ვარსკვლავი“, მე თქვენი სტიპენდიანტი ვარ, ამას გამოვიყენებ ჩემი მომავლისთვის.

მინდა მოგცეთ რჩევა, გიყვარდეს ადამიანი, რომელსაც მოსწონხარ, მოგწონდეს ის ადამიანი, რომელსაც უყვარხარ, მიენდე შენს თავს იმ წუთს, შენს ემოციას, შენს გრძნობას და მიჰყევი დინებას. არასოდეს ეცადო მეორე საფეხურიდან მე-10-ზე გადასვლას, თორემ ნულზე დაბრუნდები.

ჩვენდა სამარცხვინოდ, პაატა ბურჭულაძეს ავსტრიელები დაიცავენ

მსოფლიოში აღიარებული ოპერის მომღერლის პაატა ბურჭულაძის გარშემო ვნებათაღელვა არ ცხრება. მას შემდეგ, რაც ხელოვანმა პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო, მის მიმართ არაერთი უსიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა.

პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ თაღლითობაში დაადანაშაულეს და თავად ოპერის მომღერალს ქველმოქმედებისთვის შეგროვილი თანხების მითვისებაში დასდეს ბრალი.

ფონდ „იავნანას“ ხელმძღვანელმა თეონა ჯორბენაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ პაატა ბურჭულაძეს ავსტრიელები დაიცავენ:

– სამართლის ტრანსპორტი მართლა ურემი ყოფილა, მაგრამ მთავარია, რომ ბოლოს მაინც მიდის საჭირო მისამართზე.

თან ავსტრიის კანონმდებლობას პასუხისგებასთან ერთად, ისეთი მსუყე ჯარიმები ჰქონია დაწესებული, ვშიშობ პაატას და „იავნანას“ დისკრედიტაციით ნაშოვნი ლარების ევროში დაბრუნება მოუწევთ და ისიც ერთი-ორი ნულის მეტობით.

ისეთი კამპანიები უგორეს და ისე დევნეს, რომ ეს მავნებლობა საზღვრებს გასცდა და, ჩვენდა სამარცხვინოდ, აწი პაატა ბურჭულაძეს ამ დანაშაულებრივ ქსელში ჩართული უღირსი ქართველებისგან ავსტრიელები დაიცავენ.

„პაატა ბურჭულაძე 1989 წლიდან საქართველოსთან ერთად ავსტრიის მოქალაქეა, ქალაქ ვენის მერიამ აღიარებული ქართველი არტისტის თაყვანისმცემელთა საზოგადოება ოფიციალურად 1986 წელს დაარეგისტრირა.

2014 წელს მას ავსტრიის პრეზიდენტის ჰანს ფიშერის მიერ ავსტრიის სახელმწიფო ჯილდო მიენიჭა – I ხარისხის ჯვარი მეცნიერებასა და ხელოვნებაში გაწეული ღვაწლისათვის. პაატა ბურჭულაძის, როგორც ავსტრიის მოქალაქის უფლებებს, ავსტრიის საადვოკატო ბიურო იცავს. ადვოკატ ბარბარა გლიოკნერ-ვოლციკის წერილში, რომელიც ცილისმწამებლურ კამპანიაში აქტიურად მონაწილე ქართულ მედია უწყებებს ეგზავნებათ, ნათქვამია, რომ მათ მიერ გამოქვეყნებულ მასალებში დარღვეულია ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლი – ცილისწამება, სისხლის სამართლის კოდექსის 152 მუხლი – საქმიანი რეპუტაციისთვის ზიანის მიყენება. აგრეთვე, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 1330 მუხლი – ღირსების შელახვა. დარღვეულია მასმედიის შესახებ კანონის მე-6 და მე-7 ბ პუნქტები – პიროვნების უფლებების დაცვა და უდანაშაულობის პრეზუმპცია. დარღვეულია საავტორო უფლებათა შესახებ კანონის 78-ე პუნქტი – გამოსახულების დაცვა.“

ოზურგეთის თეატრს 150 წლის იუბილეზე ვარსკვლავი გაუხსნეს



ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი წელს იუბილარია. თეატრს დაარსებიდან 150 წელი შეუსრულდა. ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა. დღესასწაულს კულტურის მინისტრთან ერთად ესწრებოდა ადგილობრივი ხელმძღვანელობა, ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე და მიწვეული სტუმრები.

თეატრის საიუბილეო თარიღი ოზურგეთის თეატრმა მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღნიშნა. ოზურგეთის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე „თაღებში“ გაიმართა კინოსა და თეატრის ვარსკვლავის ამირან ქადეიშვილის ხელოვნების ქურუმით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი, მოეწყო ოზურგეთის თეატრის სახელობითი ვარსკვლავის გახსნა და საიუბილეო წიგნი-ალბომის „ოზურგეთის თეატრი 150“ პრეზენტაცია. ეს არის პირველი, ვრცელი მონოგრაფია ოზურგეთის თეატრზე, რომელიც უცნობ და გამოუქვეყნებელ ისტორიულ ფაქტებს, საარქივო დოკუმენტურ მასალებს და ფოტოებს ეფუძნება. სარედაქციო ჯგუფმა მოიძია და წიგნში თავი მოუყარა სხვადასხვა არქივებში, მუზეუმებში და საცავებში დაცულ ფოტოებს, ისტორიულ წყაროებს და მოგონებებს ოზურგეთის თეატრზე. წიგნი ასახავს ოზურგეთის თეატრის დღევანდელობას. მასში გაერთიანებულია ოზურგეთის თეატრის ბოლო წლების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, პრემიერები, გასტროლები უცხოეთში, მონაწილეობა ფესტივალებსა და საერთაშორისო სათეატრო ფორუმებში.

გამოცემის კონცეფციის ავტორი ვასილ ჩიგოგიძეა, წიგნის ავტორია თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი. გამოცემაზე ასევე იმუშავეს ზაზა ჯინჭარაძემ, მარინა ვასაძემ, ზაირა თოთიბაძემ და ლია კილაძემ. წიგნი-ალბომი გამოსაცემად თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა მოამზადა.

ოზურგეთის თეატრის 150 წლის იუბილეს დაემთხვა ნოდარ დუმბაძის სახელობის რიგით მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის გახსნა. ჩოხატაურში ხელოვნების სასახლეში ფესტივალი სპექტაკლით „მონატრება“ გაიხსნა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თეატრის ყველა მსახიობმა. ამავე საღამოზე შედგა ოზურგეთის თეატრის ჰიმნის პრეზენტაცია და საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის სხვადასხვა სახელობითი პრემიებით თეატრის მსახიობების დაჯილდოების ცერემონია.

ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალი აერთიანებს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით განხორციელებულ სცენურ ინტერპრეტაციებს, როგორც ქართული პროფესიული, ისე უცხოური თეატრების სცენებზე. ფესტივალი წელს ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 90 და ოზურგეთის თეატრის დაარსებიდან 150 წელს ეძღვნება. წლევანდელ ფესტივალში 13 პროფესიული თეატრი მონაწილეობს, მათ შორის, 3 უცხოური დასი აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან.

ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალი 2016 წელს დაარსდა და ის სამ წელიწადში ერთხელ იმართება. ოზურგეთში სათეატრო ხელოვნება 1868 წლიდან იღებს სათავეს და მას შემდეგ, ამ პროცესს არსებობა არ შეუწყვეტია. ოზურგეთში ქართული პროფესიული რეჟისურის ფუძემდებელი ალექსანდრე წუწუნავა, რომლის სახელსაც ოზურგეთის თეატრი ატარებს. ოზურგეთის თეატრი ერთადერთი პროფესიული თეატრია გურიის მხარეში და მნიშვნელოვანი კულტურული კერა დასავლეთ საქართველოში, არა მხოლოდ თავისი ისტორიით, არამედ, თანამედროვეობით. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი ვასილ ჩიგოგიძე.

ფონდ „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით, ამ დროისათვის ოზურგეთის თეატრის ისტორიული შენობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

თენგიზ აბულაძის ფილმები ეროვნულ არქივში შეინახება

ცნობილი ქართველი რეჟისორის, თენგიზ აბულაძის ფილმები ეროვნულ არქივში შეინახება. რეჟისორის შვილმა ქეთევან აბულაძემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს ფილმ „ვედრების“ კინოპოზიტივი და სამი ფილმის „მონანიების“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონისა“ და „ნატვრის ხის“ ორიგინალი მაგნიტური და ოპტიკური ფონოგრამები გადასცა.

ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში კინოდოკუმენტების 35.000-ზე მეტი შესანახი ერთეულია. მათ საცავებში დაცულია კინოფირების შენახვის საერთაშორისო ნორმები, აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა თენგიზ აბულაძის ოჯახმა ეროვნულ არქივს რეჟისორის ნამუშევრები ანდრო. კინორეჟისორის ოჯახმა ეროვნულ არქივს წინა წლებში „მონანიებისა“ და „ნატვრის ხის“ კინოფირები გადასცა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. ფრანგული მინერალური წყალი; 2. დაკოდილი მამალი ცხვარი; 3. ლეო დელიბის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი; 4. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 5. რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი; 6. საფრანგეთის ნაკრებისა და „მანჩესტერ-იუნაიტედის“ ფეხბურთელი; 7. გია დანელიას კინოკომედია; 9. პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი; 13. ბრიტანეთის ნაწილი; 17. ტვირთბრუნვით იაპონიის ყველაზე დიდი ნავსადგური; 18. ქართული ჟურნალი.

თარაზულად: 1. მოლაპარაკე ფრინველი; 3. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 8. მათემატიკური ორწევრი; 10. ძვირფასი ქვებით შემკული ქალის გვირგვინი; 11. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 12. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 14. მისაღები თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 15. სიმღერის შესრულება მუსიკალური თანხლების გარეშე; 16. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 20. წვრილყელიანი ღვინის სასმისი; 21. ცირკის არენა, მოედანი.

შეადგინა თ.ვოგინაშვილმა



ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 ივლისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4460	ევრო — 2.8635
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2370	100 რუსული რუბლი — 3.8692

ამინდის პროგნოზი 10 ივლისისთვის

ჩინელები სისხლისფერმა მდინარემ შეაშინა

ჩინელები უჩვეულო ფერის მდინარემ შეაწუხა, რომელიც მოულოდნელად სისხლისფერი გახდა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა სამეცნიერო გამოცემამ გამოაქვეყნა.

აღნიშნული მოვლენა სიჩუანის პროვინციის ქალაქ იბინში მოხდა. შეშინებულმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სოციალურ ქსელებში ამის ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალების გამოქვეყნება დაიწყეს.

ხელისუფლებამ აღნიშნული მოვლენა შესაფუთი მასალების მწარმოებელი ქარხნიდან საღებავის გაჟონვით ახსნა. ქარხნის თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ საღებავი საშიშროებას არ წარმოადგენს ადამიანების და გარემოსთვის, ვინაიდან წყალზეა დამზადებული და შხამიან ნივთიერებებს არ შეიცავს. ამის მიუხედავად საწარმოს ჯარიმის გადახდა მოუწევს.

მდინარე სიანბი, რომელშიც საღებავი ჩაიღვარა, მდინარე იანძის ერთ-ერთ შენაკადს წარმოადგენს და მასში ისეთი იშვიათი სახეობები ბინადრობენ, როგორიცაა ჩინური ალიგატორი და კორეული ზუთხი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ გიგის მეგობარი ეკითხება:

– სად მუშაობდი და რატომ დაკარგე სამსახური?

– სარეკლამო აგენტად ვმუშაობდი არაბულ ქვეყანაში.

– მერე?

– სარეკლამო დაფის დადგმა გადავწყვიტე, რომელიც სამ ნაწილად იყო დაყოფილი. პირველში მოვათავსე უდაბნოში მყოფი ადამიანის ფოტოსურათი, რომელსაც წყურვილი კლავს, მეორეში – იგივე ადამიანი, რომელიც გამაგრილებელ სასმელს სვამს და მესამეში – იგივე კმაყოფილი და მოღიმარი ადამიანი.

– მერე?

– რა მერე, დამავიწყდა, რომ არაბები მარჯვნიდან მარცხნივ კითხულობენ...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– სქელი ფარდები ვიყიდოთ.

– რად გინდა?

– ჩვენი ბინის მოპირდაპირე მხარეს სტუდენტების საერთო საცხოვრებელია და ღამით შიშველი რომ დამინახონ?

– თუ დაგინახეს, დამერწმუნე, ისინი თავად გიყიდიან ფარდებს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ახლახან გაზეთში წავიკითხე, რომ დაითვალეს, თუ რამდენჯერ მეტს გამოიმუშავებენ ყველაზე მდიდარი ქართველები ყველაზე ღარიბებთან შედარებით.

– უცნაურია, ჩვენ ჯერ კიდევ სკოლაში გვასწავლიდნენ, რომ ნულზე გაყოფა შეუძლებელია.

•••

განცხადება სადარბაზოს კედელზე:

– მეგობრებო, მობინადრენო!.. (გადახაზულია)

– თანამოქალაქენო!.. (გადახაზულია)

– ბატონებო! დაბეჯითებით გთხოვთ, ნუ მოშარდავთ სადარბაზოში!

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

-გუდ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი
დანაშაული აღარ მოხდება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

მუსიკა I-VI კლ.

თქვენთვის კარგად ცნობილი გამომცემლობა „ინტელექტი“ და ავტორი **მარიკა ჩიკვაიძე** გთავაზობთ განახლებულ (ახალ სტანდარტზე მორგებულ) მუსიკის სახელმძღვანელოებს. დაწყებით საფეხურზე, ვფიქრობთ, მოზარდებს გავაცნოთ: სხვადასხვა ტერმინი – ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები, ხმაური, განწყობა, ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, მოტივი, რიტმი, ტემპი... მუსიკალური კოლაჟი, მუსიკალური კომპოზიცია, ხმაბაძვითი სიტყვები და სხვა. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ მოსწავლეს ეტაპობრივად ჩამოუყალიბდეს ამა თუ იმ ცნების მისებური გაგება; ხალხური, პროფესიული კლასიკური და თანამედროვე მუსიკის მაღალმხატვრული ნიმუშების მოსმენით გავამდიდროთ პატარების მუსიკალური შთაბეჭდილებები ამას კი უსათუოდ განაპირობებს მოსწავლეთა პრაქტიკული ჩართვა სასწავლო პროცესში, კოლექტიური მუზიცირება – მღერა, რიტმული სავარჯიშოები, პლასტიკური ინტონირება, იმპროვიზაციები, კომპიუტერული პროგრამების გამოყენება და ა. შ.

მასწავლებლის წიგნებში ჩვენ მიერ შემოთავაზებულ სცენარებში მასალის მიწოდებას ინტეგრირებულად ვაპირებთ – ჩართული გვექნება მოტორიკა, საუბარი, ლექსები, ზღაპრები, ილუსტრაციები, სიტუაციური ამოცანები – ყოველივე მოწოდებულია მუსიკის გაკვეთილზე შთაბეჭდილებების გასაძლიერებლად, აგრეთვე ბავშვში ცოცხალი, გამომსახველი მეტყველების უნარის განსავითარებლად; შეკითხვებისა და დავალებების სისტემა მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს მოსმენილი მუსიკალური მოტივის, მელოდიის ანალიზის – მუსიკალური ენის ელემენტების გარკვევისაკენ; ნაშრომში მივმართავთ საგანთაშორის კავშირებს;

ჩვენ მიერ შემოთავაზებული საგაკვეთილო სცენარების შინაარსი მოსწავლეს საშუალებას მისცემს გააცნობიეროს ურთიერთკავშირი მუსიკალური ხელოვნების მომიჯნავე დარგებს შორის;

გავითვალისწინეთ კლასგარეშე ზეგავლენებიც.

სახელმძღვანელოების სრული კომპლექტის ელექტრონული ფაილების ნახვა შეგიძლიათ გამომცემლობის ფეისბუკგვერდზე – გამომცემლობა ინტელექტი/Intelekti Publishing ასევე – https://issuu.com